№ 14

ოთხშაბათი, 2 მარტი

1877—1905

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, [illegible] წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 14

ოთხშაბათი, 2 მარტი

განცხადებისათვის: [illegible] სტრიქონი [illegible] ზე 12 კაპ. [illegible] წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში მოსკოვს, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 15 თებერვლიდან წლის დამლევამდის 8 მან. 50 კაპ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

მარიამ გრიგოლის ასული ძნელაძისა, გრიგოლ, თამარ, ლუარსაბ და ლევან ძნელაძეები, ნინო ძნელაძისა შვილებით, ეფროსინე ქაიხოსროს ასული კლდიაშვილისა, ნინო გრიგოლის ასული აბაშიძისა, სვიმონ, ანასტასია, ალექსანდრე, ანდრია და ელისაბედ კლდიაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ქალაქ ოზურგეთში პირველი საყვარელ მეუღლისას, მეორენი—ძვირფას მამისას, მესამე—შვილისას და მეოთხენი—სიძისას, ექიმ

მიხეილ გრიგოლის ძის ძნელაძისას.

მიცვალებულს გამოასვენებენ კვირას 6 მარტს შუადღისას, 12 საათზე, ქ. ქუთაისში და წაასვენებენ სიპირჩხის სასაფლაოზე დასაკრძალავად.

---

2 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე, ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკკლესიაში გადახდილ იქნება **პანაშვიდი მუკდენის ბრძოლაში მოკლულის** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წევრის პოლკოვნიკის

თავ. ვლადიმერ გაბრიელის ძის მაყაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც ბანკის გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი აუწყებს გარდაცვალებულის პატივის მცემლებს და ნაცნობებს. 2—6—2

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აფეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5-დან საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 18.

კბილის ექიმი, ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით-ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

[illegible] სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი [illegible]

[illegible] ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირის ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ჩვენს ქალებს.

დღეს, როდესაც ცხოვრების დუღილი ჩქარის ნაბიჯით მიისწრაფვის წინ, როდესაც მოახლოვებულია განკითხვის დღე, და ყველა არკვევს თავის ფიზიონომიას და არჩეულ პოზიციას იჭერს, როდესაც ყველა დიდს მზადებაშია და უექველად მოელის თავის ცხოვრების გაუმჯობესებას, როდესაც ყველა თავის მოთხოვნილებებს აცხადებს, სწერს და მოძრაობაშია,—ასეთ დროს გაჩუმებულან და შიშით და კრთომით შესცქერიან აღელვებულ ცხოვრებას მხოლოდ ისინი, ვისაც ყველაზედ უფრო მეტი საბუთი აქვთ უკმაყოფილოდ იყვნენ, იგრძნონ თავისი გამოუთქმელი დაჩაგვრა, უუფლებობა, და გაჭირვება...

ესენი არიან ჩვენი ქალები.

დააკვირდით კარგად მათს მდგომარეობას, გაითვალისწინეთ მათი ცხოვრება და თქვენს გაკვირვებას საზღვარი არ ექნება. ძალა უნებურად წამოგცდებათ: როგორ ახერხებენ ქალები, რომ ასეთ დროს და ასეთ პირობებში სიჩუმეს იცავენო...

ყველაფერი ის, რასაც დღეს მოწინავე საზოგადოება თხოულობს, აუცილებელია ქალებისათვისაც. ის პოლიტიკური და სოციალურ ეკონომიური მოთხოვნანი, რაც დღეს რუსეთის საზოგადოებასთან ერთად ჩვენმა საზოგადოებამაც წარმოადგინა, ერთნაირად არის სასურველი ყველა ადამიანებისთვის,—მამაკაცი იქნება ის თუ დედაკაცი.

მაგრამ ამათ გარდა ქალებს აქვთ აგრეთვე თავისი პირადი ინტერესები, პირადი გაჭირვება, რომელიც ეხება მათ, როგორც დედაკაცებს.

დღეს თუ ყველა უუფლებობას ტირის, რაღა უნდა სთქვან ქალებმა, რომელნიც მოკლებულნი არიან იმ უბრალო უფლებებსაც, რითაც მამაკაცები დიდიხანია სარგებლობენ.

მათი პიროვნება, მათი ღირსება იჩაგრება დაბადების დღიდანვე, და, რაც ხანი მიდის, თანდათან უფრო ძლიერდება ეს დაჩაგვრა და უსამართლოდ მოპყრობა.

ჯერ იმაზე ტირიან, რად დაიბადა ქალი და არა ვაჟიო. ზრდიან აგდებულად, უყურებენ, როგორც სათამაშო დედოფლებს, არ აძლევენ ვაჟებთან თანასწორ განათლება-განვითარებას. ყოველ სალსარს უსპობენ, რომ ქალი დარჩეს მომავალ ცხოვრებაში მომქმედი, ძლიერი და თავისუფალი. ქალებისათვის სასწავლებლებიც ამნაირად არის მოწყობილი. არავითარი გზა სასწავლებლის დასრულების შემდეგ ქალებს გახსნილი არა აქვთ. თუ სადმე შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ სამადლოდ ქალებსაც მისცენ რაიმე ადგილები,—რანაირს მისცემენ, ადვილი წარმოსადგენია: გამომაყრუებელი შრომა ტელეფონში, მექანიკური წვალება ფოსტა-ტელეგრაფში, ნერვების ამშლელი, მუდამ სიმშილ-წყურვილში სამსახური პირველ დაწყებით სკოლებში და სხვადასხვა.

საზოგადო ცხოვრებაში არავითარი ხმა, არავითარი უფლება, მუდამ სხვის ოპეკის ქვეშ ყოფნა, მუდამ სხვაზე დამოკიდებულება, მუდამ „იურიდიულ უწლოვანობაში“ ყოფნა!.. მათი წმინდა გრძნობებიც ათას გვარ მოსაზრებითა და ანგარიშებით ილახება და იმწიკვლება.

რამდენი უნდა ჩამოვთვალოთ! სადაც უნდა გადაავლოთ თვალი, ყველგან დაინახავთ რამდენად უნუგეშოა ქალის დღევანდელი მდგომარეობა.

არადროს, არსად და არავის არ მიუღია ახალი უფლებები და ცხოვრების გაუმჯობესობა რაიმე სასწაულითა და სხვისი შემწეობით, ყველანი თავის ხელებით და მეცადინეობით პოულობდნენ უფლებებს. ასეუნდა მოიქცნენ ჩვენი ქალებიც. დედაკაცებმაც უნდა ისარგებლონ შესაფერის წამით და თავის თავზე იზრუნონ.

შეიძლება, ზოგიერთმა მანდილოსნებმა გვიპასუხონ, „ჩვენც ვეთანხმებით ჩვენი ქმრების, და ძმების აზრს, ჩვენც მამაკაცებთან ვართო“. მაგრამ ესეც რო ნამდვილად მართალი იყოს, ასეთი მოქმედება მაინც არ არის საკმაო. საფრანგეთში, ინგლისსა და ევროპის სხვა სახელმწიფოებში პოლიტიკური თავისუფლება და დემოკრატიული ფორმები დიდი ხანია განხორციელებულია, მაგრამ ქალის მდგომარეობა იქაც დაჩაგრული დარჩა. ახლაც დიდი ბრძოლა სჭირდებათ ქალებს, რომ მოიპოვონ მამაკაცებთან თანასწორობა. და კიდევ დიდი ხანი გაივლის, სანამ სრულ თანასწორობას მოიპოვებენ.

სულ სხვას ვხედავთ ავსტრალიის ავტონომიურ შტატებში, ახალ-ზელანდიას, ტასმანიაში,—ინგლისის ამ საუცხოვო ახალშენებში, რომლებმაც ბევრით გაუსწრეს თავის მეტროპოლიას და დაამყარეს დედაკაცების სრული თანასწორობა მამაკაცებთან. აქ თვით ქალებმა მოიპოვეს ყველაფერი ეს და კიდეც დაიმსახურეს უფლებები იმ მხურვალე მონაწილეობით, რომელიც გამოიჩინეს ავსტრალიის საზოგადოების განმათავისუფლებელ მოძრაობაში...

ამნაირად ჩვენს ქალებს ორნაირი მიზანი უნდა ჰქონდეთ და ორკეცი შრომაც სჭირიათ.

ისინი მხურვალედ უნდა მოეკიდონ იმ მოთხოვნილებებს, რაც მთელმა საზოგადოებამ წამოაყენა. ამ საქმეში ქალებს შეუძლიათ იქონიონ მამაკაცებზე არა ნაკლები გავლენა და ძალაც შესწევთ, თუ კი მდგომარეობას დაუფიქრდებიან. ისინი ამ საქმეში ენერგიით, უშიშრად და მტკიცედ უნდა მოქმედებდნენ მამაკაცებთან ერთად.

ამასთან ქალებმა არ უნდა დაივიწყონ თავისი „დედაკაცობაც“ და საზოგადო მოთხოვნილებებთან თავისი საკუთარი მოთხოვნილებანიც უნდა წარმოადგინონ. საზოგადოებაც ვალდებული იქნება, ყველაფერ ამას ანგარიში გაუწიოს. ვერავინ გაბედავს იმის თქმას, რომ ქალები არ არიან მომზადებულნიო. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ თვით უფლებები ამზადებენ ხალხს, და სწრაფად აჩვევენ ამ უფლების კარგად მოხმარებას...“

გუშინ გაზეთში ამოვიკითხეთ: „გურიაში ხიდისთავის საზოგადოებამ თავის დეპუტატებად სულთან კრიმ-გირეისთან მოსალაპარაკებლად, მამაკაცებთან ერთად, 3 დეპუტატი ქალიც აირჩიაო“. რას ნიშნავს ეს მოვლენა?.. აბა დაფიქრდით, ჩვენო მანდილოსნებო! ხმა ამოიღეთ! ჩვენი გაზეთი სიამოვნებით დაუთმობს ადგილს თავის ფურცლებზე თქვენს სამართლიან ჩივილს. კმარა ამდენი სიჩუმე!..

ფრიდონ.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

28 თებერვალი.

პარიჟი, 20 თებ. მინისტრთა საბჭოში განხილულ იქმნება საკითხი შესახებ პოლონიის მინისტრის გაგზავნისა. ინდო ჩინეთიდან დაბეჯითებით სთხოვენ მთავრობას წინდაწინვე მიიღოს შესაფერი ზომები მოსალოდნელ აჯანყების ჩასაქრობად.

ალექსანდროვსკი. ხოლერისაგან უზრუნველყოფისათვის მთელ მაზრის რკინის გზებზე სამხედრო წესი გამოცხადდა.

ბათომი. „ნიტო“-ს ქარხანას შეძლება არა აქვს დატვირთოს გემი „არასი“. ამჟამად ქარხნის მართველობას მოლაპარაკება აქვს გამართული ადმინისტრაციასთან მუშათა კითხვის გამოსარკვევად.

სიმბირსკი. ამ დღეებში მოხდება ქარხნების პატრონთა და ზედამხედველ ინსპექტორთა კრება, რომელსაც საგნად ექმნება გამონახოს საშუალება მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ბერდიანსკი, 28 თებ. მოწყვეტილმა ყინულმა ზღვაში ასამდე მეთევზე გაიტაცა, ზოგი გადაარჩინეს, დანარჩენების გადარჩენასაც ცდილობენ.

ვარშავა. ქალ. ზღუნსკაია ვოლია, სადაც 25,000 მცხოვრები ითვლება, რომელთა უმრავლესობას დღეს ქარხნებში მომუშავენი შეადგენს, გაფიცვების გამო შევიწროებულ მდგომარეობაში არიან. ქალაქი დახმარებას უწევს ბევრს მათგანს.

მოსკოვი, 28 თებ. ერობის სხვადასხვა გუბერნიების ხმოსნებმა დეპეშით მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრს და სთხოვეს, მოიწვიოს ერობის წარმომადგენელნი მონაწილეობის მისაღებად იმ კომისიაში, რომელიც თანახმად 18 თებერვლის უმაღლესის ბრძანებისა, უნდა დაარსდეს. სტროგანოვის სამხატვრო სასწავლებელში სწავლა დაიწყეს.

ფილადელფია. გაზეთები იუწყებიან, რომ ვენესუელის რესპუბლიკის კონსულს რუზველტისათვის პროტესტი განუცხადებია, რომელშიაც სწერს, რომ ადგილობრივ ფარულ პოლიციას აღმოუჩენია ფილადელფიაში შეთქმულთა ბრბო, ვენესუელის პრეზიდენტის კასტროს წინააღმდეგ. აზრად აქვთ გაგზავნონ ვენესუელაში სამხედრო იარაღით დატვირთული გემი.

პეტერბურგი. პირველ ცხენოსან ჯარის დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი თ-დი ოდოევსკი-მასლოვი დაინიშნა დონის ყაზახთა ჯარის ატამანად.

პეტერბურგი, 28 თებ. დიმიტრიევის მაზრაში თავი იჩინა გლეხთა აღელვებამ. 18 თებერვალს გლეხებმა გაანადგურეს ვაჭარ ჩიჩკინის კარმიდამო და გაიტაცეს სხვა და სხვა სამეურნეო ნაწარმოებნი, თივა და პური. ამას შემდეგ გლეხები გაემართნენ მეზობლად მყოფ ბარონ მეიენდორფების მამულისაკენ. აქედან ბრბო, რომელიც დაახლოვებით 2,000 კაცისაგან შესდგებოდა, გაემართა გლეხობის მაზრისაკენ და სოფელ მიხაილოვსკაში ცეცხლი წაუკიდა და სულ ერთიანად გაანადგურა ტერეშჩენკოს შაქრის ქარხანა; გზა და გზა ბრბომ ხუთიოდე მემამულის კარ-ნაშენობაც აიკლო. როდესაც კურსკის, ორლოვის და ჩერნიგოვის გუბერნატორები ამბოხებულ ადგილებში ჩამოვიდნენ, რომელთა განკარგულებაში ათითო ბატალიონი ქვეითა ჯარი და ორი ესკადრონი ცხენოსან ჯარის კაცი ირიცხებოდა, ამბოხებულნი მაშინვე დაწყნარდნენ. ჯარის კაცებს იარაღის ხმარება არ დასჭირდათ. მთელს მაზრაში წეს-რიგი ხელ-ახლავ აღდგენილია. გლეხები უკანვე უბრუნებენ პატრონებს თავიანთ ნადავლს. დაჭერილია რამდენიმე ასი კაცი. არეულობამ ისე ჩაიარა, რომ არსად მკვლელობა არ მომხდარა. მხოლოდ ერთს ადგილას დასჭრეს ურიადნიკი და მეორეს—ასის თავი. ის ადგილი, სადაც გლეხთა არეულობამ და მოძრაობამ თავი იჩინა, თუმცაღა სამი გუბერნიის ნაწილს შეადგენს, მაგრამ სივრცით არ აღემატება 150 ოთხ კუთხ ვერსს. ჯარის დაგვიანების მიზეზი იმითი აიხსნება, რომ აჯანყებული ადგილი რკინის გზის ლიანდაგს 50 ვერსით არის დაშორებული და ცხენოსან ჯარის ბინაც ამ ადგილებზე ძალიან შორსაა.

მინსკი, 28 თებ. ღამით პოლიცმეისტერს გოფენბახს რევოლვერი ესროლეს, მაგრამ ტყვია ასცდა. მსროლელი მიიმალა.

სტამბოლი. ამბობენ, რომ სულთანის ერთი კარის კაცი და ორი ადიუტანტი საზღვარ გარედ გაიქცნენ. სასახლეში ძალიან აღელვებულნი არიან.

პეტერბურგი. პოლონეთის საზღვრებიდან ქვანახშირის უბაჟოდ შემოტანის ვადა გაგრძელებულია კიდევ ერთი კვირით.

ლონდონი. „მორნინგ—პოსტი“ იუწყება, რომ რუსეთის, საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობანი უკვე შეთანხმდნენ ვანტუნის, კვანსის, მანჯურიისა და მონგოლიის შესახებ. ხსენებულ სამეფოებს თითქო კიდეც გაუმართავთ ჩინეთის მთავრობასთან სათანადო მოლაპარაკება.

ბერლინი. «ვოლფის» სააგენტო ოფიციალურად აცხადებს, რომ „მორნინგ—პოსტ“-ის კორესპონდენტის მიერ გავრცელებული ხმები ვითომც რუსეთსა, საფრანგეთსა და გერმანიას შორის არსებობდეს რამე მოლაპარაკება შორეულ აღმოსავლეთის შესახებ, ყოვლადსავე სიმართლეს მოკლებულია.

ბაქო, 28 თებ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, მთელ ბაქოს გუბერნიაში საზოგადო სასამართლოს ჩამორთვა და სამხედრო სასამართლოს დაექვემდებარა, როგორც შემოღებულია იმ ადგილებში, სადაც ომიანობის დროის წესრიგია დამყარებული,—შემდეგი დანაშაულობანი: მთავრობის მოხელეთათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა, ბოროტგანზრახვით ასაფეთქებელ ნივთიერებათა ხმარება, ჯარის კაცებზე, პოლიციის და მთავრობის ყველა მოხელეებზე თავდასხმა, თუ ამ თავდასხმას თან მოჰყვა მკვლელობა ან მოკვლის განზრახვა, დასახიჩრება, დაჭრა, ცემა-ტყეპა და ცეცხლის გაჩენა; აგრეთვე თავდასხმა მოსამსახურეებსა და არა მოსამსახურეებზე იმ აზრით, რომ ძალით აიძულონ კანონის წინააღმდეგ სამოქმედოთ.—ქალაქში სიწყნარეა. ბაქოს ქალაქის თვით-მმართველობამ 50000 მან. შესწირა ბაქოში მომხდარ სისხლის ღვრის დროს დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ლონდონი, 28 თებ. დიდ-ბრიტანიის მხედრობისათვის მიმდინარე წელს ბიუჯეტით შარშანდელზე მეტს თხოულობენ. მეტი ხარჯები იმან გამოიწვია, რომ არტილერია ახალის თოფ-ზარბაზნით უნდა შეაიარაღონ, რისთვისაც გადასდებს 1,213,000 გირ. სტერლინგი. მთავრობამ ინგლისის ქარხნებს შეუკვეთა 1071 ზარბაზანი.

პარიჟი, 28 თებ. საერო განათლების სამინისტრომ გადასწყვიტა, გიმნაზიებსა და ლიცეებში შემოიღოს რუსული ენის სწავლება. უნივერსიტეტები დაუყოვნებლივ შეიმუშავებენ ამ საგნის სწავლების მოწყობის საქმეს. ახალშენთა მინისტრი ზაფხულის დასაწყისს აპირებს ინდო-ჩინეთს გამგზავრებას. მინისტრის მოგზაურობას კავშირი აქვს უკანასკნელ ამბებთან, რაიც საჭიროებს იქაურ ახალშენთა მართვა-გამგეობის სისტემის მოწყობა-მოწესრიგებას.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

ტოკიო, 27 თებ. (რეიტერი). იაპონიის ხალხი თავ-დაჭერილად მიეგება გამარჯვების ამბავს. მოწოდებისამებრ ხალხმა გამარჯვების გამო სადღესასწაულო ხარჯი შეამცირა და ფული ომის საჭიროებას შესწირა. გაზეთები ამბობენ, იაპონია ომს განაგრძობს და არც თითონ და არც სხვის შუამავლობით რუსეთს ზავის ჩამოგდებაზე წინადადებას არ მისცემსო.

ტოკიო, 28 თებ. (რეიტერი). ოიამას მოხსენება: იაპონელები რუსებს მისდევენ და ჩრდილოეთისაკენ მიერეკებიან. თუმცა რუსები ჩვენს შეჩერებას ცდილობენ. მუკდენის ჩრდილოეთით მთელი მხარე დაჭერილია ჩვენ მიერ 25 მილის მანძილზე. სინმინტინში დაიჭირეს პორტ-არტურიდამ გამოპარული რუსის აფიცერი, რომელსაც სიტყვა ჰქონდა მიცემული, ომში მონაწილეობას აღარ მივიღებო. იქვე იაპონელებმა ხელთ იგდეს რუსების სურსათი.

პეტერბურგი, 28 თებ. უქვეშევრდ. მოხსენება გენ.-ად. კუროპატკინისა 28 თებ. თარიღით: „ხანგრძლივის შეუწყვეტელის ბრძოლის მოხებით 50,000 კაცამდე დაიჭრა. მუკდენიდან უკან დახევა მეტად გასაჭირ პირობებში მოგვიხდა. ჩვენი ჯარი, რომელიც ბოლოში მოგვდევდა, წესიერად უკან იხევდა და დანიშნულ პოზიციებზე დგებოდა. სურსათის ქარავანმა კი დიდი გაჭირვება გამოიარა, რადგან მანდარინის გზაზე იაპონიის არტილლერია ყუმბარებსა უშენდა. დღისითაც კი უგზო-უკვლოდ მოდიოდა. მუკდენის და ტელინის შუა მდებარე მიდამო დასერილია პატარა, მაგრამ მაღალ კიდიან მდინარეებით. ქარავანი, რომელიც ნაწილ-ნაწილად მოეშურებოდა უგზო-უკვლოდ, ამ მდინარეებზე გროვდებოდა და გასვლის ჯერს უცდიდა. სატევი მოქმედების დროს მტერს დიდი მაშველი ჯარი მოუვიდა. აღმოჩნდა, რომ ბრძოლაში, გარდა იაპონიის სამის ლაშქრისა, მეოთხე—ნოგის ლაშქარიც ყოფილა. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ახლად შემდგარის ჯარის ერთი ნაწილიც იაპონელებს მუკდენისაკენ წამოეწვიათ. რადგანაც ზღვით ადვილია ჯარის გადმოყვანა, იაპონიის რაზმები არამც თუ დანაკლისს ივსებენ, კომპლექტზე მეტი სალდათიც კი მოსდით იმის წყალობით, რომ იაპონელებს ჯერ ისევ მშვიდობიანობის დროს დიდებულად ჰქონდათ მოწყობილი დაზვერის საქმე—ჩვენი ლაშქრების მდგომარეობა ყოველთვის იციან ხოლმე.

„უკანა ჯარის უფროსმა მაუწყა, ზარბაზნის სასროლ მანძილზე ერთ დივიზიონამდე მტერი აღმოჩნდაო. დღევანდელ ბრძოლის შესახებ ცნობა ჯერ არ მომსვლია, მეორე ლაშქრის უკანა ჯართა უფროსების მოხსენებიდან ჩანს, რომ მუკდენიდან უკან დაწევის დროს, ყველაზე სასტიკი ბრძოლა მოსვლია თქვენის უდიდებულესობის სახელობის პოლკს, რომელმაც ორ ცეცხლ შუა გაიარა. მტერი აღმოსავლეთიდან ტყვიას უშენდა. პოლკოვნიკმა მაინც მოახერხა დასავლეთიდან პოლკის გამოყვანა, გადარჩა დროშა, 3 აფიცერი და 150 ჯარის კაცი და ის ბატარეია, რომელიც პოლკთან იყო. ამას წინადაც დაზარალდა იგივე პოლკი და დააკლდა 1000 კაცზე მეტი. დიდად დაზარალდა აგრეთვე იურიევის პოლკი მე-25 დივიზიისა, რომელსაც შერჩა მხოლოდ 619 ჯარის კაცი და ორი აფიცერი.

ტოკიო, 28 თებ. ირწმუნებიან, რომ მუკდენი იაპონელებმა 23 თებერვალს დაიჭირესო, მაგრამ გუშინდლამდე ვერ შესძლეს შიგ გამაგრება, რადგან რუსის ჯარი მრავალჯერ გაშმაგებით ეცილებოდა ქალაქის დაჭერაში. დატყვევებულ რუსთა რიცხვი და დავლა იმდენია, რომ ამის დათვლას კარგა ხანი მოუნდება. იაპონელთ უზარალიათ: მოკლული აფიცერი 33, მძიმედ დაჭრილი 31, მსუბუქად 56. გაზეთ «კოკუმინის» კორესპონდენტი იუწყება, რომ იაპონელთა ჯარს, რომელმაც ფუშუნი აიღო, ისევ აქვს შეტაკება რუსის რაზმთან. იმავ დროს იაპონელები გამოჩნდნენ კიდეც ფუშუნ-მუკდენის რკინის გზის დასავლეთით და მზად არიან შეუტიონ რუსებსაო.

ლონდონი, 28 თებ. იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა შემდეგი დეპეშა ტოკიოდან მიღებული: იაპონიის ჯარები შეუჩერებლივ მისდევენ რუსებს, მიერეკებიან სამხრეთისკენ და დიდ ზარალს აძლევენ. მუკდენიდან ჩრდილოეთით მიმავალ რკინის გზის გაყოლებაზე იაპონელებმა

იპოვეს დიდძალი რიცხვი დაყრილ ურმებისა, რომლებიც დატვირთული არიან სურსათით და საომარ მასალით.

ტელინი, 28 თებერ. კუროპატკინმა დაათვალიერა გამაგრებული პოზიციები. რკინის გზა დაჭრილთა გადაზიდვაშია. ჯარი კარგ გუნებაზეა.

ტოკიო, 28 თებ. იაპონელები ბრძოლის ველიდან მოკლულთ და დაჭრილებს აკრებინებენ. ბრძოლის დასასრულს რუსებმა ერთხელ კიდევ შეუტიეს გაშმაგებით იაპონელთა ცენტრს, მაგრამ ამაოდ.

ლონდონი, 28 თებ. ჯერ არაა ცნობაში მოყვანილი სინწანისკენ რუსებს რამდენი ზარალი მოსვლიათ. თუმცა რუსებმა ცეცხლი წაუკიდეს თავის სურსათის საწყობს მაძატუნთან, მაინც იაპონელებს დიდძალი სურსათი და საომარი მასალა ჩაუვარდათ ხელში.

ბერლინი, 28 თებერ. როგორც ინგლისელი კორესპონდენტები იუწყებიან, რომლებიც კუროპატკინის ლაშქართან არიან, პარასკევს ხუნხეზე ბოგირი აფეთქებულ იქმნა და რუსებმაც დაიწყეს უკან დახევა ტავას მიდამოებიდან. იაპონელები შრაპნელს უშენდნენ, რამაც ერთ წუთს შიში ჩამოაგდო ჯარში. ყველგან რუსები საკვირველის ვაჟკაცობით იბრძვიან.

ადესა, 28 თებ. გემმა „როსსიამ“ მოიყვანა 201 პორტ-არტურელი. მათ შორის 42 აფიცერია ოჯახობითურთ, 92 დაბალი მეზღვაური და 65 ჯარის კაცი.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე).

ჟურნალ-გაზეთებიდან.

მუკდენის ბრძოლა. რუსეთის ჯარი ბევრჯერ დამარცხებულა. დიდმა კარლოსმა ნარვაში და სხვაგანაც რამდენჯერმე დაამარცხა და გაანადგურა პეტრე დიდის ჯარი. ნაპოლეონმა რუსეთის ჯარი ფრიდლანდთან, შენგრაბენთან და სმოლენსკთან ადვილად დაამარცხა, აუსტერლიცთან და ბოროდინოსთან ხომ თითქმის მთლად გაანადგურა. რუსეთს კარგად ახსოვს სევასტოპოლი, ალმა და სხ., მაგრამ მუკდენის ბრძოლამ ყველას გადააჭარბა. მუკდენის აღებას დიდი, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა იუწყებიან, ჩვენი ჯარი კარგ გუნებაზეაო, მაგრამ ნამდვილად, ეჭვი არ არის, რუსეთის ჯარი მუკდენთან დამარცხების შემდეგ ძალიან ცუდ გუნებაზე უნდა იყოს. აბა როგორ შეიძლება კარგ გუნებაზე იყოს ის ჯარი, რომელიც 13 თვის განმავლობაში განუწყვეტლივ მარცხდებოდა, უკან-უკან იწევდა და იაპონელებს აუარებელ დავლას უტოვებდა. ეს ერთი. მეორე—იაპონელებმა ხელთ-იგდეს მუკდენისა და სინმინტინის დიდი გზა, რომელიც რუსებს აუარებელ სურსათს უზიდავდა და ამით ციმბირის გზას ჯარის გადმოყვანას უადვილებდა. მესამე—იაპონელებმა მდინარე შახედან მოკიდებული ტელინამდე მთელი მიწა-ადგილი ხელთ-იგდეს და ამით რუსებს ის მეწველი ფური წაართვეს, რომელიც რუსებს ჰკვებავდა და სურსათს უზიდავდა. მეოთხე—იაპონელებმა მუკდენის აღებით მიიმხრეს მთელი ჩინეთი, რომელიც, ასე თუ ისე, შემდეგშიაც იაპონიის ჯარს ყოველნაირად ხელს შეუწყობს და მომავალშიაც გამოადგება.

მუკდენის ბრძოლა 8 თებერვალს დაიწყო (ცინხეჩენთან). მარშალი ოიამა იუწყება, 28 თებერვალს ბრძოლა ჯერ გათავებული არ იყოო; მაშასადამე, მუკდენის ბრძოლამ 20 დღე გასტანა, აქედან 17 დღე ნამდვილი ბრძოლა იყო, 3 დღე-კი იაპონელების მიერ უკანდახეულ რუსების დევნა. გენ. კუროპატკინის მოწინავე ჯარი ტელინში ასულა და იქ დაბანაკებულა. 27 თებერვალს კუროპატკინი ტელინის პოზიციებს ათვალიერებდა და სულით დაცემულ ჯარს ამხნევებდა. ეტყობა კუროპატკინი ტელინში აპირობს შეჩერებას და გამარჯვებულ იაპონელთა დახვედრას (ნ. ვ.).

რუსეთის ჯარის უკან დახევა. მუკდენთან დამარცხებული რუსეთის ჯარი საჩქაროდ ტელინისკენ გამოემართა, მაგრამ დეპეშებიდან სჩანს, რომ უკან წამოსული რუსები ისე არეულ-დარეულან, რომ „ძაღლი პატრონს ველარა სცნობდა“. ერთი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: უკან დახევის დროს ქარავნის მცველი ჯარი შიშის ზარმა მოიცვა. ყველაფერი აირ-დაირია, ყველა ერთმანეთს ჩხავდა, ურმებს სტოვებდა და მირბოდა. იაპონელები სამის მხრიდან მისდევდენ და ზარბაზანს უშენდენ (რ. ვ.).

იაპონელების დავლა. იაპონელებს იმ დავლის გარდა, რომელიც მუკდენში ჩაიგდეს ხელში, სხვაგანაც აუარებელი საქონელი წაურთმევიათ რუსებისათვის. მარშალი ოიამა იუწყება, მუკდენის ჩრდილოეთით მანდარინის გზაზე რუსებს აუარებელი ურემი, ტყვია-წამალი, ყუმბარა, სურსათი და სამხედრო მასალა წავართვითო.

გენერალი კუროკი იუწყება: თუმცა რუსებმა მაძიადანთან და ახლო-მახლო ბევრი სურსათი და სამხედრო მასალა დასწვეს, მაგრამ ჩვენ მაინც აუარებელი და ურიცხვი საქონელი. სურსათი, საკვები, იარაღი და სამხედრო მასალა ჩავიგდეთ ხელშიო.

სინმინტინიდან იუწყებიან: ჩინელებს რუსებისათვის ურიცხვი საქონელი მიჰქონდათ, მაგრამ იაპონელებმა ჩაიგდეს ხელშიო (რ).

რუსების ზარალი. გენ. კუროპატკინი იუწყება, 26 თებერვლამდე 50,000 კაცი დაგვიჭრესო. თუ ამას მოკლულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულებსაც მივუმატებთ (20 ათასამდე იქნება), რუსების ზარალი 70,000 კაცს უნდა გადასცდეს. გარდა ამისა იაპონელებმა 26-მდე 30,000 კაცზე მეტი დაატყვევეს და 28-საც პუხესთან მთელი რაზმი ჩაიგდეს ხელში. თუ იმასაც მხედველობაში მივიღებთ, რომ 27-სა და 28 თებერვალს იაპონელები რუსებს მისდევდნენ და გენ. კუროკის სიტყვით ძალიან აზიანებდნენ, მაშინ რუსების ზარალი საერთოდ 120,000 კაცამდე უნდა ავიდეს. მთელ მსოფლიო ისტორიაში არც ერთი მაგალითი არ ყოფილა, რომ რომელსამე სარდალს ბრძოლის დროს ამოდენა დაჭრილი, მოკლული და დატყვევებული დაჰკლებოდეს (რ.).

კორესპონდენტების დეპეშები. „ნოვოე ვრემია“-ს სხვადასხვა კორესპონდენტები იუწყებიან: იაპონელები პორტ-არტურიდან მოტანილ ჩვენის ზარბაზნებით გვესვრიან.

ტაშიჩაოსთან (სინმინტინსა და მუკდენს შუა) იაპონელებს 50,000 კაცი ჰყავდათ და 200-მდე ზარბაზანი ჰქონდათ. ამ ჯარს გენ. ნოგი უფროსობდა, ჩვენს ჯარს კი გენგროსი, ცერპიცკი და თვითონ კუროპატკინი.

ტაოტაისა, სუხუდიპუსა, ჩანდანსა და სოფელ ტაიში ჩვენ აუარებელი სურსათი დავწვით.

მუკდენის მახლობლად რომ ბრძოლა გაჩაღდა ბანებსა, გორაკებსა და ხეებზე ათასი ჩინელი იდგა და ბრძოლას თვალ-ყურს ადევნებდა. იაპონელები გაგიჟებულებივით იყვნენ და მედგრად გვეწეოდნენ, ჩინელები კი იღიმებოდნენ და სიხარულით აღარ იცოდნენ რა ექნათ. ქვეით, მუკდენის სამხრეთით, ორ სოფელს იაპონელებმა ისე დაუშინეს ზარბაზნები, რომ ხუთი წუთის შემდეგ ცეცხლი მოუკიდეს და ორივე სოფელი გადაბუგეს. ჩვენი ჯარი შედრკა, აირდაირია და უკან დაიხია. ამ ადგილას იაპონელთა 6 დიუმიან ყუმბარებმა ჯოჯოხეთური ქიაკოკონა გააჩაღეს და რამდენიმე საათის შემდეგ ორივე სოფელი დედამიწის პირიდან აღგავეს.

მეორე კორესპონდენტი იუწყება: 21 თებერვალს იაპონელებს ბოლო მოვუღეთ. მუკდენი ჩვენვე დაგვრჩება და იაპონელები თვალითაც ვერ ნახავენ. ხვალ თავხედ იაპონელებს ისე დავსჯით, რომ მუკდენის ხსენებაც აღარ გაბედონ. ჩვენი ჯარი აღფრთოვანებულია. 21 თებერვალს ჩვენი ისტორია ოქროს ასოებით აღნიშნავს. მუკდენის დასავლეთით, 30 ვერსის სიგრძეზე და 10 ვერსის სიგანეზე მთელი მინდორი ჯარით გაივსო. ამ ალაგას ჩვენი ჯარი გენ. ნოგის ჯარს, პორტ-არტურის გვირგვინით შემოსილ ლაშქარს ებრძვის. ჰაერში სულ ზუზუნი და გრიალი დგას. მიწა ყუმბარებისაგან მოხნულია. სადაც კი 6 დიუმიანი ყუმბარა დაეცემა, თვალუწვდენელ მიწისა და ქვის სვეტს ააყენებს ხოლმე. გამარჯვება, უეჭველია, ჩვენ დაგვრჩება.

ამ ბრძოლის დროს გამარჯვება ნოგის დარჩა, კუროპატკინმა კი უკან დაიხია და ბრძანება გასცა, უკან დასახევად მოემზადეთო. კორესპონდენტების დეპეშებიც სწორედ ამ დღეს არის გამოგზავნილი.

სწორედ ამ დროს, როცა გენ. ნოგისა და კუროპატკინს გაჩაღებული ბრძოლა ჰქონდათ, იაპონელებმა მუკდენში პროკლამაციები გააკრეს და ხალხს შეატყობინეს, მანდედან გადით, თორემ საცაა მუკდენს ზარბაზნები უნდა დავუშინოთო.

„რუს“-ის კორესპონდენტი იუწყებიან: 12 თებერვალს რამდენიმე ჩვენი გენერალი ვნახე. ყველა მხიარული იყო, სახე უბრწყინავდა და სწამდათ, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებაო.

მეორე კორესპონდენტი იუწყება: „იაპონელებმა მუკდენის ძიან-ძუნსა და ჩინელებს შემოუთვალეს: ამ ორ დღეში მანდა ვართ და ნუ გეშინიათ, ყოჩაღად იყავითო. მაგრამ მოტყუვდნენ. ჩვენი გამარჯვების სუნი მოგვდის. ყოველ მხრიდან სასიხარულო ამბები მოდის. ყველანი დავიტანჯეთ, დავიღალეთ, მაგრამ მხნედა ვართ, რადგან ხვალ თუ ზეგ გამარჯვება ხელში ჩაგვივარდება.

იაპონელები სულაც არ მოტყუებულან: მართლაც და ორ-სამი დღის შემდეგ მუკდენში შევიდნენ და ჩინელებიც ისე დაუხვდნენ, როგორც კარგ მასპინძელს შეჰფერის. მხოლოდ საკვირველი ის არის, რომ რუსეთის გაზეთების ყველა კორესპონდენტებს 21 თებერვალს სრული გამარჯვების იმედი ჰქონიათ, ე. ი. სწორედ იმ დღეს, რა დღესაც კუროპატკინმა უკან დახევა გადასწყვიტა და ბრძანება გასცა: მოემზადეთ, შეიძლება უკან დავიწიოთო.

იაპონელებისა და რუსების ჯარის რაოდენობა მუკდენთან. მუკდენის ბრძოლის დროს იაპონელებს რუსებზე გაცილებით ნაკლები ჯარი ჰყოლიათ. „კელნიშე ცეიტუნგის“ სამხედრო მიმომხილველი ბეჯითად ამტკიცებს, რომ მარშალს ოიამას მუკდენთან სულ 275, 000 კაცი ჰყავდა და 936 ზარბაზანი ჰქონდაო. გენ. კუროკის ჰყავდა 85,000 კაცი, მარშალს ნოძუს—65,000, მარშალს ოკუსა და გენერალს ნოგის—125,000, კაცი.

მარშალი ოიამა იუწყება: ჩემის გამოანგარიშებით გენ. კუროპატკინს მუკდენთან 400,000-მდე კაცი ჰყავდა და 1500 ზარბაზანი ჰქონდა (ნ. დ.).

ზავის პირობები. სანამ მუკდენის ბრძოლა დაიწყებოდა, იაპონელები ამბობდნენ, თუ რუსებს შერიგება უნდათ, შევურიგდნენ, ჩვენ ბევრს არ მოვითხოვთო. ეხლა კი, როცა იაპონელებმა მუკდენთან უმაგალითოდ გაიმარჯვეს და რუსეთის ჯარი საშინლად დაამარცხეს, იაპონელები ამბობენ, ეხლა უფრო მეტს მოვითხოვთ და თუ რუსეთი ეხლაც გაჯიუტდა, შემდეგშიაც დავამარცხებთ და ამაზე უფრო მეტს მოვითხოვთო. ეხლა იაპონელები თხოულობენ, რომ რუსეთმა მანჯურიას სულ თავი დაანებოს და ამ ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში აღარ ჩაერიოს. მანჯურია ჩინეთს დაუბრუნდება, მხოლოდ მისი მართველნი იაპონელები იქნებიან. პრიამურის მხარე და სახალინი რუსეთმა იაპონიას უნდა დაუთმოს და ციმბირში ვაჭრობის ნება ყველას უნდა მისცეს. ინგლისური გაზეთები სწერენ: თუმცა რუსები აცხადებენ, სანამ არ გავიმარჯვებთ, იაპონიას არ შევურიგდებითო, მაგრამ ცხადია, რომ ეხლა ზავის ჩამოგდება რუსეთს გულით უნდა. რუსეთს ზავის ჩამოგდება რომ არ უნდოდეს, როჟესტვენსკის ესკადრას უკანვე არ დააბრუნებდაო (ნ. ვ.).

რუსეთის სალდათის წერილი. ერთს სალდათს ბრძოლის ველიდან თავის ცოლისთვის მოუწერია: მადლობა ღმერთს! სულ უკან-უკან ვიხევთ და ღვთის წყალობით იმედი მაქვს სააღდგომოდ ვოლგამდე ჩამოვალთ. მაშინ გნახავ. ნახვამდის! (ნ. ვ.)

ახალი ამბავი

◆ გაზ. „კავკ“-ში დაბეჭდილია მთავარმართებლის თანამდებ. აღმასრ. **გენ.-ლეიტ. მალამას განკარგულება**, შინაგან საქმეთა მინისტრმა მოიწონა და დაამტკიცა ჩემი მოხსენება, რომ ქ. ერევანში შემოღებულ იქმნას გაძლიერებულ დაცვის დებულებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ ამავე გაზეთში [illegible] სავალ**დებულო დადგენილება** ქ. ერევნისთვის. ერთით აღკრძალულია ყოველგვარი [illegible] ტარება—თოფისა, რევოლვერისა, ხმალ-ხანჯლისა, ბებუთისა, კასტეტისა, ფინურ დანებისა და მავთულიან ჯოხებისა; აღკრძალულია აგრეთვე გუბერნატორის ნება-დაურთველად რომელისამე ზემოხსენებულ იარაღისა და ტყვია-წამლის ყიდვა-გაყიდვა. მეორე, სავალდებულო დადგენილებით ყველა სახლის პატრონი ვალდებულია პოლიციას გამოუცხადოს, თუ ვინ დადგა მისს სახლში ან ვინ გავიდა, სად გადავიდა და რომელ ქალაქში ან სოფელში წავიდა; ყველა ბინის დამქირავებელი მოვალეა აცნობოს სახლის პატრონს, პასუხის მგებელ გამგეს ან საპასპორტო განყოფილების გამგეს, თუ ვინ მიიღო თავის ბინაზე, ან ვინ გადავიდა მის ბინიდან. ყოველივე ეს უნდა ეცნობოს, სადაც ჯერ არს, 18 საათის განმავლობაში ბინაზე დადგომის ან ბინიდან წასვლის შემდეგ. ასეთივე წესები უნდა შემოიღონ სასტუმროსა და სხვა საზოგადო დაწესებულებათა პატრონებმაც და სასტიკად უნდა ადევნონ თვალყური, რომ ყველაფერი რიგზე სწარმოებდეს. ერევნის სახლის პატრონები, ანუ სხვა უძრავ ქონებათა მფლობელნი, მოვალენი არიან, აცნობონ პოლიციას ყველაფერი, თუ რაიმე საყურადღებო ამბავი მოხდა მათ სახლში: საეჭვო კაცთა კრება ხომ არ ყოფილა ან ხომ არ არის და ჩხუბი, შფოთი და სხვა ამგვარები ხომ არა მომხდარა-რა, ერთი სიტყვით, უნდა აცნობონ ყველაფერი, რაც საზოგადო მყუდროებასა და წესიერებას არღვევს, და სხვ. სახლის პატრონებმა თვალყური უნდა ადევნონ, მათ სახლში საიდუმლო სტამბა ხომ არაა გამართული, ან ასაფეთქებელი ნივთიერებანი ხომ არა აქვთ შენახული და მთავრობის საწინააღმდეგო გამოცემათა საწყობი ხომ არ არის და სხვ. ვინც ამ წესებს დაარღვევს, დააჯარიმებენ 500 მანათამდე, ხოლო, თუ შეძლება არა აქვს დააპატიმრებენ 3 თვემდე. ეს სავალდებულო დადგენილებანი ძალაში შედის ამ წლის 10 მარტიდან.

◆ ქალაქის მოურავმა თავისს შეკითხვის გამო სოხუმიდან **შემდეგი დეპეშა მიიღო:** ხმები სწორე არ არის, ერთა შორის განწყობილება უკეთესი არ უნდა. არეულობანი სულ სხვა ნიადაგზე მოხდა. იმედია, აღარ გამეორდება. ხელს აწერს ტომარა.

◆ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, **ქალაქის გამგეობაში აღიძრა საკითხი** ტფილისის საბოქაულოებში ღარიბთა ყოფა-ცხოვრების შესწავლისა და გაჭირვებაში დახმარების აღმომჩენ სამზრუნველოების შესახებ. ამ საკითხის გადასაწყვეტად დანიშნულია ცალკე კომისია, რომლის თავმჯდომარეც—ბ-ნი იოანნისიანი სთხოვს ქალაქის თავს დაინიშნოს კრება, რომელზედაც მოწვეულ იქმნენ ტფილისში არსებულ ყველა საქველმოქმედო საზოგადოებათა წარმომადგენელნი. კრებამ უნდა განიხილოს, თუ როგორ

ფელეტონი

ეროვნული პრინციპი შვეიცარიასა და ავსტრიაში.

ხშირად აქებენ შვეიცარიას, იმის წესწყობილება საუკეთესოდ მიაჩნიათ და ჰგონიათ, რომ ამნაირივე წესწყობილების შემოღებით შეიძლება ხალხმა სხვაგანაც ბედნიერად იცხოვროსო.

შვეიცარიაში რამოდენიმე ეროვნება ადვილად თავსდება ერთად,—ეროვნული მიმართულება და ბრძოლა შვეიცარიაში სრულებით არ არსებობს.

კანონმდებლობის უფლება მინიჭებული აქვს საერო კრებას როგორც საერთოდ მთელ შვეიცარიაში, ისე მის შემდგენელ სხვადასხვა კანტონებშიაც. ეს კანტონები თავის წილად თავისს შინაურ საქმეებს თითონვე განაგებენ. შვეიცარიის საერთო მთავრობის ზეგავლენისაგან [illegible] თავისუფალნი და დამოუკიდებელნი არიან.

ის დემოკრატიული პრინციპი, რომელზედაც არის აგებული შვეიცარიის კონსტიტუცია, შეიძლება, რასაკვირველია, სხვაგანაც იქმნეს მიღებული და, თუ შვეიცარიაში ამ პრინციპის ხელმძღვანელობას ხალხის ბედნიერება მოჰყვა, საფიქრებელია, რომ სხვაგანაც ხალხის გაბატონებას სახელმწიფოში უთუოდ მისი ბედნიერება მოჰყვება.

შვეიცარიაში ხალხის მონაწილეობა სახელმწიფო საქმეების მართვასა და გამგეობაში მარტო საერო კრებაზე დასასწრებლად წარმომადგენლების არჩევით არ გამოიხატება. არა, იქ ხალხი თვალყურსადევნებს ამ კრების მოქმედებასაც და, თუ საჭიროდ დაინახა, კიდეც ჩაერევა ხოლმე საქმეში. ამ დროს იგი (ხალხი) წინადადებას აძლევს კრებას შემოიღოს საჭირო კანონი ან ხალხისთვის არა სასურველი გადაწყვეტილება უარჰყოს.

ზოგიერთ კანტონში ხალხი ადგილობრივ საქმეების გასაძღოლად წარმომადგენლებსაც არ ირჩევს,—ყველა სრული წლოვანია და საარჩევნო უფლების მქონე ადამიანი ესწრება კრებას. იქ კრება მართლა, რომ საერო კრებაა, ვინაიდგან მთელი ერი, მთელი საზოგადოება თვითონ არჩევს საქმეებს, ამა თუ იმ გადაწყვეტილებას ადგება. საამისოდ მათ არა სჭირიათ არც ვექილები, არც წარმომადგენლები. საქმის მსვლელობა ხალხის ხელით უფრო კარგად კეთდება, ვიდრე არჩეულ კაცების მეოხებით.

შვეიცარია არ მისდევს ომიანობას, მას არა ჰყავს ძლიერი ჯარი,—შვეიცარიელებს არ აწუხებს ჯარის შესანახავად საჭირო ხარჯები, ევროპის დამღუპველ ძალ-მომრეობის გამომხატველი, მილიტარიზმი,—და ხალხიც ამითი ბედნიერია.

შვეიცარიაში არ არის აგრეთვე ეროვნული საკითხიც. იქ ყველა ერი, ყველა ენა თავისუფალია, იქ ყველას თავისუფალ განვითარების უფლება აქვს მინიჭებული.

საზოგადოდ, შვეიცარია იყოფა სამ ნაწილად, საფრანგეთის შვეიცარიად, იტალიის შვეიცარიად და გერმანულ შვეიცარიად. იტალიელებით დასახლებული იტალიის შვეიცარია შედარებით პატარა არის; დანარჩენი ორი ნაწილი სამაგიეროდ ერთმანეთის სწორია და საფიქრებელიც იყო, რომ მათში დაიწყებოდა ისეთივე ეროვნული ქიშპობა და მტრობა, როგორსაც ვხედავთ ეხლა დანარჩენ ქვეყნებში.

ნამდვილად კი აქ ეს ორი ეროვნება ერთმანეთში მეგობრობას არ არღვევს, გერმანელი მხოლოდ აქ, შვეიცარიაში, უახლოვდება ფრანგს და ფრანგიც დამშვიდებით ისმენს გერმანულ ლაპარაკს.

[illegible] ნუ თუ ამისი მიზეზი იგივე დემოკრატიული პრინციპი, იგივე ხალხის გაბატონება სახელმწიფოში?

არა! დემოკრატობა, საპოლიტიკო ცნება, დემოკრატობა თავისუფლებას ანიჭებს კერძო პიროვნებას და წარმოადგენს იმ ჩარჩოს იმ კალაპოტს, რომელმაც უნდა დასტიოს ხალხის ცხოვრება უმეტნაკლებოდ, რომელმაც ყველას საერთოდ უნდა მისცეს თავისუფლების განვითარების უფლება.

ეროვნული პრინციპი უფრო რთულია. დემოკრატობა თუ ითხოვს, რომ ყოველსავე კერძო ადამიანს ჰქონდეს მინიჭებული სახელმწიფოში თანასწორი უფლება, ეროვნული პრინციპი თხოულობს:—ყველა ეროვნების, როგორც კერძო და განვითარებულ ერთეულის, გათანასწორებას, როდესაც ვხედავთ, რომ საზოგადოებაში რამოდენსამე პირს აქვს მისაკუთრებული მთელი უფლება, დემოკრატიულ პრინციპის ძალით, ამნაირი უსამართლობის წინააღმდეგნი ვხდებით, თუმცა შეიძლება ის რამოდენიმე პირი საუკეთესო, საქმის უფრო მცოდნე და ხალხისთვის უფრო გამოსადეგიც იყოს.

ასევე, ეროვნულ პრინციპის ძალით, არ შეგვიძლია დავეთანხმოთ, რომ ერთ რომელსამე ეროვნებაში ერთ ერთს, თუნდაც უმაღლეს კულტურის მქონეს და უფრო განათლებულს, სახელმწიფოში რამე უპირატესობა ჰქონდეს მინიჭებული.

ყველა ეროვნება სწორია, ყველას განვითარებისათვის თანასწორი უფლება და ამ უფლების განსახორციელებლად შესაფერი პირობებიც უნდა ჰქონდეს.

შვეიცარია განსაკუთრებულ ბედნიერ პირობებშია ჩაყენებული. ჯარი არ სჭირია იმიტომ, რომ რამოდენსამე ძლიერ სახელმწიფოს შუა ჩაყენებული, ვერც ერთს იმათგანს ვერ გაუმკლავდება და თავის დამოუკიდებლობას ამყარებს იმ სახელმწიფოთა საერთო გადაწყვეტილებაზე—ეს სახელმწიფოები ზრუნავენ, რომ შვეიცარიის მთები, ეს საუკეთესო სტრატეგიული ადგილი, არავის არ ჩაუვარდეს ხელში. შვეიცარია მშვიდობიან, სანეიტრალო სახელმწიფოდ არის აღიარებული.

ეროვნულ თანასწორობის განხორციელებას კიდევ ხელს უწყობს ის უბრალო გარემოება, რომ შვეიცარიაში არც ერთი განკერძოებული ეროვნება არ ცხოვრობს. თითოეულ მათგანს თავისიანი და მეზობელი მოსარჩლე ჰყავს.

შვეიცარიის გერმანელი თავის კულტურულ მიზნების დასაკმაყოფილებლად იღვწის შვეიცარიაშივე და თავის მცირე შრომითაც კმაყოფილია, ვინაიდან იცის, რომ ნაკლის შევსება შეუძლია ძლიერ გერმანიიდან, სადაც სწავლა-განათლება მაღლა სდგას და ერიც ჩქარის ნაბიჯით წინ მიდის.

დიდი იმედი აქვთ აგრეთვე საფრანგეთის ან იტალიის შვეიცარიის მკვიდრ ფრანგებსა და იტალიელებს. იტალიელებს, მაგ., საკუთარი უნივერსიტეტიც კი არა აქვთ შვეიცარიაში, იტალია იქვეა, იქვეა იტალიის უნივერსიტეტებიც და ხალხიც თავის კულტურულ მოთხოვნილებას ამ უნივერსიტეტებით იკმაყოფილებს.

ამიტომ ეროვნული საკითხი შვეიცარიაში სრულებით არ არის. ყოველი შვეიცარიელი თავის ეროვნულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელს წყაროს თავის სამშობლო ქვეყნის გარეშე ეძებს,—გერმანიასა, საფრანგეთსა ან იტალიაში. სამაგიეროდ შინ სცხოვრობს ძმურად სხვ ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად და ეროვნულ ბრძოლას ერიდება.

დარწმუნებით შეიძლება სთქვას ადამიანმა, რომ სამივე ეროვნების ძმური დამოკიდებულება შვეიცარიაში მხოლოდ იმიტომაა, რომ საზღვარ გარედ სამივეს ეგულება თავისი მონათესავე მეზობელი და მფარველი.

ავსტრიის მაგალითი გვიჩვენებს, რა უკიდურესს გამწვავებამდის მიდის საქმე იქ, სადაც ეროვნებას არა ჰყავს მფარველი და სადაც ეროვნება მარტო თავის ანაბარაა.

უპატრონო ერის დროებითი შესუსტება ყველას მისი სიკვდილი ჰგონია. მოქიშპე მეზობლისა და ეროვნების დაწინაურება ჩამორჩენილ ეროვნებისთვის საშიში ხდება.

ავსტრიის მაგალითმა დაამტკიცა, რომ იქ, სადაც ერთსა და იმავე საზღვრებში, რამოდენიმე სხვადასხვა ეროვნება სცხოვრობს, ეროვნულ მიზნების დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის საერთო პარლამენტში მონაწილეობის მიღება, მწერლობისა, სიტყვისა, კრებებისა და კავშირების თავისუფლება. ავსტრიის პარლამენტი ბრძოლის ველს უფრო ჰგავს, ვიდრე საკანონმდებლო დაწესებულებას. ეროვნულ ბრძოლის გამწვავებამ თითქმის სრულებით შესწყვიტა ავსტრიის საპოლიტიკო ცხოვრება.

ჟურნალ-გაზეთობის და წერის თავისუფლება ავსტრიაში ყველა ეროვნებასა აქვს მინიჭებული, მაგრამ სწორედ ამ თავისუფლებით სარგებლობს ყველა ეროვნულ ბრძოლისთვის.

აქ, ავსტრიაში, ყოველი ერი, გერმანელებს გარდა, სცხოვრობს საკუთარ ეროვნულ კულტურით. ჩეხები მხოლოდ ავსტრიაში სცხოვრობენ და ამიტომ, თუ სურთ შემდეგში არსებობა შეირჩინონ, უნდა ახლავე მოიმაგრონ ფეხი და მათგან ფეხის მომაგრება საშიში ხდება სხვებისთვის. ამავე ყოფაში არიან რუსინები, სლოვენები, პოლონელები და უნგრელები.

მარტო ავსტრიაში,—უნგრეთი რომ არ ვიანგარიშოთ,—გერმანელი 36 პროცენტი არის, ჩეხი—23 პროცენტი, პოლონელი 17 პროცენტი, რუსინი 13 პროცენტი და 11 პროცენტი დანარჩენი სხვადასხვა ეროვნება.,—არც ერთი ეროვნება არ არის ისეთი ძლიერი, რომ დაისაკუთროს მთელი სახელმწიფო. ამასთანავე არც ერთი ისე სუსტი არ არის მათში, რომ შემდეგში ნება-ყოფლობით ეროვნულ არსებობაზე უარი განაცხადოს.

ამიტომ უნდა მოთავსდნენ ერთად, უნდა მოიწყონ საქმე ისე, რომ თავისუფალი განვითარება ერთმანეთს არ დაუშალონ. საამისოდ შესაფერი სახელმწიფო წესწყობილება კი დღემდის ვერავის გამოუნახავს.

შვეიცარიის მაგალითი გამოდგებოდა ავსტრიაში გერმანელებისთვის და, შეიძლება, პოლონელებისთვისაც იმ შემთხვევაში, თუ პოლონელებს ავსტრიის საზღვარზე ექმნებოდათ თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფო, სხვებისთვის კი შვეიცარია მაგალითად არ გამოადგება, ვინაიდან არც ჩეხებს და არც რუსინებს არ შეუძლიანთ ავსტრიის გარეშე თავიანთ ეროვნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ასეა ახლა და ასეც იქნება შემდეგში.

შინაური ბრძოლა, ეროვნებათა გადამტერება ერთმანეთში არავისათვის სასარგებლო არ არის და ამიტომ ავსტრიაში ყველა საუკეთესო მამულიშვილი ცდილობს საზოგადო ცხოვრების მსვლელობა ისეთ გზაზე დააყენოს რომელ გზითაც ხალხისთვის მშვიდობიანი ცხოვრება შეიძლებოდეს.

ამ გზათ ავსტრიაში საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ ყველა ეროვნების სრული თვითმართველობა.

ზოგიერთს კიდევ სურს, რომ თვითმართველობა პოლონელებს მიენიჭოს, ერთხელვე განსაზღვრული ავსტრიის ერთი ნაწილი ჩეხების კუთვნილებად იქმნეს გამოცხადებული, მეორე ნაწილი კი პოლონელების ან გერმანელების კერძო საკუთრებად დარჩეს. აღდგენილ უნდა იქმნეს ის საზღვრებიო,—ამბობენ ისინი,—რომელიც სამივე ეროვნებას წარსულში ეჭირაო. ამას ეძახიან ისტორიულ უფლებათა აღდგენას. ჩეხებს უნდა დაუბრუნდეს ის, რაც გერმანელებთან შეერთებამდის ჰქონდათ და რაც შემდეგში ძალმომრეობის წყალობით დაჰკარგესო.

მაგრამ ასეთი „დაკარგული“ ადგილები ბევრია და ასეთ „ისტორიულ“ პრინციპზე აგებული ახალი წესწყობილება უთუოდ ახალ განხეთქილებას გამოიწვევდა.

ისტორიულ უფლებათა აღდგენის მაგიერად ზოგიერთს უნდა, რომ წარსულზე აღარ იყოს ლაპარაკი და ყველა ეროვნებამ მიიღოს თვითმმართველობა იმ საზღვრებში, რა საზღვრებშიაც დღეს სცხოვრობს და სადაც ამჟამად უმეტესობას წარმოადგენს.

მაგრამ ამაზედაც ზოგიერთი თანახმა არ არის და ამბობს, უმცირესობა მაინც დაჩაგრული დარჩება და არ მოსაზღვრე ეროვნების გამყოფი ზღუდე შემდეგში მრავალ უსიამოვნებას გამოიწვევსო.

ყველაზე უკეთესი ის იქნება, რომ ტერიტორიის მიუხედავად სხვადასხვა ეროვნებას საჭირო თვითმართველობა მიენიჭოს, რომ ყველას შეეძლოს განავითაროს ეროვნული კულტურა, დაიარსოს ეროვნული სასწავლებლები და თავისთვის დამოუკიდებლად იცხოვროს. ეროვნული საქმე უნდა იყოს მოწყობილი ისევე, როგორც არის მოწყობილი ეკლესიის საქმე, ე. ი. მას არავითარი კავშირი არ ჰქონდეს სახელმწიფო საქმეების გარდაწყვეტასთან.

მომავალი გვიჩვენებს, საერთო ცხოვრების აქ დასახელებულ პირობათა შორის რომელი უფრო გამოსადეგი და დამაკმაყოფილებელი შეიქმნება.

ცხადი ჯერ-ჯერობით ის არის, რომ მხოლოდ შემდეგში უნდა გამოინახოს სახელმწიფო წესწყობილების რომელიმე ახალი სახე, ვინაიდან არც ერთს დღემდის შემოღებულ კონსტიტუციას არ შეუძლიან ყველა ეროვნებას თანასწორი თავისუფლება მიანიჭოს, ყველას სარჩულად იგივე ერთი პრინციპი აქვს—„cujus regio—ejus natio“, ე. ი. სახელმწიფო ეკუთვნის ერთ რომელსამე ეროვნებას, ამ სახელმწიფოში უფრო გაძლიერებულს და გაბატონებულს, და მხოლოდ ამ ეროვნებას შეუძლიან თავის სურვილზე მოაწყოს სახელმწიფო და არც ვალდებულია პატივი სცეს დანარჩენ ეროვნებათა უფლებებს.

შეიძლება შეერთდეს საზოგადოებების მოქმედება საქალაქო სამზრუნველოების მოღვაწეობასთან; რა დახმარება შეუძლიანთ აღმოუჩინონ სამზრუნველოებს ამ საზოგადოებათ და ან რა დამოკიდებულება უნდა იქონიონ ყველა ამ დაწესებულებებმა ურთიერთ შორისო, და სხვა.

✦ დღეს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის **სამეურნეო საზოგადოებაში** დანიშნულია წევრთა საზოგადო კრება. ამ კრებაზე ა. ა. ქალანთარი წაიკითხავს მოხსენებას შავი ზღვის ნაპირზე თამბაქოს მოყვანის შესახებ. კრებაზე გარეშეთაც შეუძლიანთ დასწრება.

✦ ქალაქის გამგეობასა და სამოსწავლო კომისიას 28 თებერვალს **სხდომა ჰქონია.** სხდომაზე განიხილეს გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა ხარფუხის სკოლის შენობისა. სკოლის შენობა დაჯდება 21,500 მან. გამგეობამ დაამტკიცა გეგმაც და ხარჯთ-აღრიცხვაც და გადასწყვიტა, დაუყოვნებლივ შეუდგეს აღნიშნულ შენობის აგებას. ამ შენობის იჯარით გაცემის საჯარო ვაჭრობა დაინიშნა 10 მარტისთვის.

✦ 23 თებერვალს ქალაქის გამგეობამ განიხილა **ქალაქის საბანაოს გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა**, რომელიც შეადგინა ქალაქის ინჟინერმა. გამგეობამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა და ამასთან ერთად მიანდო ქალაქის ინჟინერს ღარიბებისათვის უფასო საბანაოს გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის შემუშავება.

✦ ქალაქის **მეეტლეებმა შეიტანეს** ქალაქის **საბჭოში თხოვნა,** რომელშიაც აღნიშნავენ რა თავიანთ გაჭირვებას საკვებისა და რეზინის სალტების სიძვირისა გამო, სთხოვენ საბჭოს, რომ პატიოთ ცხენების ბაჟების ჯარიმები, ცხენების ბაჟი შეუმცირდეთ წელიწადში თითო ცხენზე 3 მანათამდე. ნება ჰქონდეთ იქონიონ თითო ცხენი ზედ მეტად ბაჟ გადაუხდელად და დაწესებული ნიხრი საცდელად ერთს წელიწადს მაინც შეიქმდეს.

საეკლესიო მუზეუმს პროფ. ნ. მარმა შემოსწირა პატარა ზარი, რომელიც წარსულ ზაფხულს უპოვნია აჭარაში, ოპიზას. ზარს წარწერა არა აქვს და დროს განმავლობაში ფრიად გათხელებულა და გალეულა.

✦ **ქალაქის გამგეობამ მიმართა** ხორცის დუქნების გამგე კომისიის თავმჯდომარეს ბ-ნ ევანგულოვს,—დაუყოვნებლივ წარმოგვიდგინეთ დაწვრილებითი ანგარიში მთლად იმ 90,000 მანეთისა, რომელიც ქალაქმა გაიღო ხორცის დუქნებისთვისაო.

✦ **ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანაში მომუშავეებმა აუწყეს ტფილისის გუბერნატორს:** მოქალაქეთა გამგეობისაგან გამწესებულმა ბ-ნმა სევანოვმა თავის დროზე გადაგვახდევინა 1900 წ. გადასახადი და ეხლა ხელმეორედ გვთხოვენო. გთხოვთ გამოიძიოთ, სად წაიღო სევანოვმა ეს ფული და, თუ გაუფლანგავს, ან გადაახდევინეთ, ან პასუხის-გებაში მიეცითო.

✦ 28 თებერვალს, სამტრედიაში ფოსტის კანტორას **დასცემია ხუთი შეიარაღებული** კაცი და კანტორიდან 2,000 მანათი გაუტაცნია.

✦ **კავკასიის რკინის გზათა უფროსმა** რკინის გზის მმართველობის ყველა განყოფილების უფროსებს მიწერილობა დაუგზავნა, რომლითაც უბრძანებს, რომ, თუ რომელიმე მოხელემ თავის ნებით გაანება სამსახურს თავი, დაუყოვნებლივ მოიწვიეთ ჟანდარმთა აფიცერი და ოქმი შეადგინეთ დამნაშავე მოხელის პასუხისგებაში მისაცემადო.

✦ დღეს ქალაქის გამგეობის წევრთა საბჭოს ხმოსან-**ტეხნიკოსების კრებაა** დანიშნული. კრებამ უნდა განიხილოს დამტკიცებული პროექტი ნავთლუღის რკინის გზისა და გამოიკვლიოს, როგორ შეიძლება შეიცვალოს მიმართულება ამ ლიანდაგისა. ესევე კრება განიხილავს საბჭოს დადგენილებას, რომლის ძალითაც თავად ჩოლოყაშვილს ნება ეძლეოდა ქალაქის ქუჩებისა და მოედნების გასანათებლად გეემართა გასანათებელ გაზის ქარხანა.

✦ მღვდელ-მონაზონს გრიგოლ ბარძიმაშვილს წალკის სოფელს წინწყაროს ბერძნის ბერძენოვის სახლში უნახავს ორი ძველი-ძველი **ტყავზე ხუცურად** ნაწერი **სახარება.** ბერძენოვი სახარებებს თურმე ას თუმნად აფასებს.

✦ 27 თებერვალს შესდგა **კრება ღრმა-ღელის ახალშენ მემამულეთა**, რომელთა შორის უმეტესობა ქართველობაა.

ახლახან რკინის გზის მთავრობა დათანხმდა, რომ ღრმა-ღელეში საკუთარი სადგური (პლატფორმა) გაიმართოს. მეახალშენეთ ამის გამო ითათბირეს, ერთმანეთში ფული შეკრიბეს და მალე შეუდგებიან სადგურის აშენებასა და ახალშენის მოწყობას. დღეს იქ უკვე 22 კომლამდე მოსახლეა. ამავე ახალშენს გადასჭრის ტფილისის წყლის მილი. იმედი აქვთ, ქალაქი წყალს ახალშენელებს არ დაუქრის. ღრმა ღელე ტფილისის ერთად-ერთი უმახლობელესი საგარაკო ადგილთაგანია.

✦ 28 თებერვალს სოფელ რუისის მცხოვრებმა მეეტლემ, გიორგი კოსტაშვილმა პოლიციაში განაცხადა: მე და ბორის შეპელოვი, 14 წლის ყმაწვილი, დუქნიდან მივდიოდით თ. გზაზე დაგვხვდა ვიღაც კაცი, რომლის გვარი არ ვიცი, მაგრამ სახეზე ვიცნობ მეც და ყმაწვილიც დანით რამდენსამე ალაგას დაგვჭრაო. ორივე საავადმყოფოში წაგვიყვანეს, მე ჭრილობა შემიხვიეს და გამომიშვეს, ყმაწვილი კი საავადმყოფოში დატოვესო. მიზეზად კოსტაშვილმა ის გარემოება დაასახელა, რომ მეეტლეთა გაფიცვის დროს, 27 თებერვალს, ეტლით სამუშაოდ გამოსულა.

✦ 28 თებერვალს პუშკინის ქუჩაზე ვასილ ეგიაზაროვის მაღაზია გაუძარცვავთ და 400 მან. ღირებულ სხვადასხვა საქონელი წაუღიათ ქურდებს შეპარულან ქალაქის არხიდან, რომელიც მტკვარში გადის, და მაღაზის სარდაფის კედელი შეუნგრევიათ.

✦ 27 თებერვალს საღამოს 8 საათზე მეეზოვეს უპოვია ხოჯამინასოვის სახლთან ერთი თვის ბავშვი მდედრობითი სქესისა. ბავშვი ოლღას სახებით ინსტიტუტში გაგზავნეს.

ქუთაისის ცხოვრება

მოკლული ბოქაულის მოსვენება.—გიმნაზიელთა და მათ მშობელთა თათბირი.—დურგალთა ქარგლების გამარჯვება.—ქართული წარმოდგენა.—შიშიანობა!

✦ 25 თებერვალს ქუთაისს ჩამოიტანეს სამტრედიაში ბერდანკით მოკლულ ბოქაულის ჩიკვილაძის გვამი. სადგურზე შეხვდა თვით ბ-ნი გუბერნატორი, ასი ყაზახი-რუსი და სამხედრო მუსიკა. კუბო „დვორნიკებს“ მოჰქონდათ. ბ-ნ გუბერნატორისა, ყაზახებისა და ბოქაულების მეტს, პროცესიაში სხვა ხალხს მონაწილეობა არ მიუღია. მკვდარი რაჭაში წაიღეს.

✦ 27 თებერვალს ქალაქის თვითმართველობის სადგომში მოლაპარაკება ჰქონდათ გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის მოწაფეთ და მშობლებს სწავლის დაწყების შესახებ. შეგირდები გულ-მხურვალედ ამტკიცებდნენ, რომ დღევანდელ პირობებში არას გზით არ შეუძლიათ სწავლის დაწყება და დამშვიდებული მეცადინეობა. ქუჩებში ცემა-ტყეპაა, ტყვიებით გულ-გამგმირული ხალხის სისხლი იღვრება, ყოველ-მხრიდან ალმაშფოთებელი ამბები გვესმის და როგორ გინდათ, რომ ახალ-გაზრდობა ოთხ-კედელს შუა დაიმწყვდეს, არითმეტიკული ამოცანები აკეთოს და გრამატიკული ფორმები იზეპიროსო. ახალგაზრდების კეთილშობილურ აზრებს მშობლები იძულებულნი შეიქმნენ დასთანხმებოდნენ და „მამებმაც“ გადასწყვიტეს: ახლანდელ პირობებში მეცადინეობა მართლა რომ შეუძლებელიაო. სასწავლებლების მთავრობას კი დიდი იმედი ჰქონდა მოწაფეთა მშობლებისა. ეგონათ უმაღლეს მთავრობას სწავლის დაწყებასა სთხოვენო. ძალიან დაღონებულნი კი არიან ჩვენი პედაგოგები: ვფიქრობთ ჯამაგირები არ მოგვისპონო. მათი ჯამაგირებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ იმ მოწაფეებს, კი რომელთაც სასწავლებლიდან ნივთიერი დახმარება ეძლეოდათ—სწავლის დაწყებამდე აღარ მიეცემათ.

✦ დურგლებმა გაფიცვა შესწყვიტეს და მუშაობას შეუდგნენ, პირობებიც შეიმუშავეს... ამ პირობებს მკითხველებს შემდეგ გავაცნობთ. პირობების შემუშავების დროს ოსტატებმა დიდი უკმაყოფილება გამოაცხადეს, მაგრამ ქარგლებმა მაინც თავისი გაიტანეს...

26 თებ. აქაურ თეატრში წარმოადგინეს ჰიუგოს 5 მოქმედებიანი დრამა „რუი ბლაზ“, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. ანტრაქტების დროს გალერეიაზე საამდროვო სიმღერები გაისმა. პარტერიდან ავიდა ერთი ახალგაზდა დიპლომიანი ვექილი და მომღერალთ ურჩევდა: გაჩუმდით, თეატრს ხიფათი მოელისო. პარტერშიაც შიშობდნენ: ყაზახი რუსები შემოგვეხვევიან და დაგვაწიოკებენო. სხვაფრივ წარმოდგენამ მშვიდობიანად ჩაიარა. დღეს, 27 თებერ. წარმოსადგენად დანიშნული იყო „კაი გრაკხი“, მაგრამ ამის წამოდგენის ნება აღარ მისცეს, სამაგიეროდ «ცხოვრების გარეშე» დანიშნეს.

✦ გუშინ, 26 თებერ. პოლიციამ ქალაქის ბულვარის კარებებზე კლიტეები ახსნა. ეს ბაღი ქალაქის თვითმართველობის დაუკითხავად 14 თებერვალს მომხდარ ამბების მეორე დღეს დაკეტეს და ხალხს ერთად-ერთი სასეირნო ბაღი აქამდე წართმეული ჰქონდა. ბულვარში ჩვეულებრივი სეირნობა კვლავ იმართება, ხოლო დაღამდება თუ არა, ქუჩებში შეიარაღებულ „წესიერების დამცველთა“ გარდა ველარავის შეხვდებით. ქუთაისში დიდი შიშიანობაა, რომელსაც ხელს უწყობს აქაური ჩამობნელებული ქუჩებიც. ბ-ნი მ. ლაღიძე ახლანდელ შეცვლილ გარემოებაში ველარ ანათებს ელექტრონით ქალაქის შუაგულს, ქალაქის ფარნებსაც არ ანთებენ რიგიანად, 8 საათს შემდეგ ქუთაისის ქუჩები სრულს სიბნელეს წარმოადგენს და ამასთან ხმებიც გავრცელდა, რომ უკეთურების ჯგუფი შემდგარა, რომლებსაც მიზნად დაუდვიათ ღამღამობით ამოჩემებული კაცები ხოცონო. მცხოვრებლები ძალიან შეშინებულნი არიან. საჭიროა თვითმართველობამ, თუ სხვა საქმეები დაივიწყა, ქუჩების უკედ განათებისათვის მაინც მიიღოს ზომები.

ის.—არიძე.

გურიის ვითარება

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

საჯავახო. გურიის სოფლის საზოგადოებამ ერთხმად გამოუცხადა სულთან კრიმ-გირეის, რომ, ჯარის ჩაყენების გამო, მშვიდად მუშაობა შეუძლებელიაო, და თხოულობს, გურიიდან ჯარი დაუყოვნებლივ გაიყვანონ. სულთან კრიმ-გირეიმ გაჰგზავნა შუამდგომლობა მთავარმართებელთან. ჯვარცმის საზოგადოება, გარდა ძირითად მოთხოვნათა, თხოულობს, რომ დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში სწავლა ქართულ ენაზე იყოს, ხოლო უნივერსიტეტში ქართული ენა განსაკუთრებულ სასწავლ საგნად შეირიცხოს.

—

წერილი გურიიდან

მუშის დასაფლავება.—კრიმ-გირეის დარაჯნი.—ჯარი და ყაზახები.—ერთი აზნაურის ოინი.

დღეს დაასაფლავეს ხიდისთავის ახლო —ბასილეთის ეკლესიაზე ერთი მუშა – კოპლატაძე, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინად ფოთში ჟანდარმს დაუჭრია ისე მძიმედ, რომ იგი გარდაიცვალა. გვამი მოასვენეს ნიგოითის სადგურზე. აქედან გამოასვენა ნიგოითის საზოგადოებამ სუფსამდე. ხოლო სუფსის პირს დახვდნენ ხიდისთაველები. 18 ვერსის მანძილზე სულ ხელით მოასვენებდნენ. დასაფლავებას სამი ათას კაცამდე დაესწრო. როგორც სუფსის პირს, ისე ეკლესიაზე რამდენიმე დიდ-მნიშვნელოვანი სიტყვა წარმოსთქვეს. ამ სიტყვებმა ხალხზე დიდათ იმოქმედა.

ხალხმა სთხოვა კრიმ-გირეის ნება მოგვეცით ჩვენი დარაჯები გაახლოთ და, ეს ერთი ღამეა, მის ბინაზე სოფლელები ყარაულობენ. ასე იმიტომ მოიქცნენ სოფლელები, რომ ეფიქრებოდათ ხალხის მტრებმა საზოგადოების ნდობით აღჭურვილ ადამიანს არაფერი აუტეხონ და მერე ხალხს არ გადააბრალონო. ასეთი შიში უსაბუთო არ არი, დავასახელებ რამდენსამე მაგალითს: გურიაში წინად რომ ჯარი იყო, თვით სოფლელები დარაჯობდნენ ამ ჯარს, მტერი არ მიეპაროს და უბედურება არ აგვიტეხოსო. ტყუილ-უბრალო სისხლის ღვრა და დაწიოკება არ გამოიწვიოსო.

ამ რამდენისამე დღის წინად, ოზურგეთში, ვიღაცამ სალდათი დასჭრა. ხალხს საშინლად ეწყინა უმიზნოდ სისხლის ღვრა და დაჭრილ სალდათს თანაგრძნობა გამოუცხადა, ამასთანავე ოცდა ათი მანათი შეაგროვა მის სასარგებლოდ. ამბობენ, სალდათზე ღრმა შთაბეჭდილება იქონია ამ გარემოებამო. საზოგადოდ ხალხი სალდათებს არ ემდურის, ხოლო ყაზახების შესახებ კი სულ წინააღმდეგის აზრისაა. ქურდობასა და ძარცვა-გლეჯას ესენი არ ერიდებიან, ხალხს სრულიად არ ეპუებიან და არც ზოგავენ.

26 თებერვალს კრიმ-გირეის წარუდგა შემოქმედის სოფლის დეპუტაცია. დეპუტაციამ განაცხადა: მემამულე ანტონ დუმბაძე გადასახლდა ოზურგეთში, შემოქმედში კი სახლი დაყრუებული აქვს. სწორეთ ამ საღამოს, როცა კრიმ-გირეი წავიდა შემოქმედიდან, დუმბაძის სახლში რამდენიმე თოფი გავარდა. სოფელმა საქმე გამოიძია. აღმოჩნდა, რომ ანტონ დუმბაძემ ჩააგონა მოჯამაგირეს თოფი გაისროლე, მერე კი თქვი —სახლს დაეცნენო, და ამისათვის სამ თუმანს დაპირდა. ბიჭი გამოტყდა ყველაფერში. ხალხი ძალიან აღელდა.

X.

პრესსა

გაზ. „ზაპადნი გოლოს“-ი ამბობს უმაღლეს ბრძანების შესახებ:

„საერო კრება, რომელიც თითქმის გამოტირებულიც ჰქონდა რუსეთს,—ეხლა ნამდვილად შესდგება.

უმაღლესი ბრძანება აშკარად ამბობს:

„ამიერიდან კანონების შემუშავების დროს უნდა მიიღონ მონაწილეობა ხალხისაგან არჩეულმა, ხალხისთვის სანდო და საუკეთესო პირებმა“.

მალე, ძალიან მალე ეღირსება რუსეთი საერო კრებას!

შეიძლება ეს კრება არ იყოს ისეთი, როგორიც ზოგიერთს ჰგონია, შეიძლება მას არ ჰქონდეს მინიჭებული სრული საკანონმდებლო უფლება, მაგრამ მაინც ეს კრება იქმნება საერო კრება!

მართალია, ჯერ არ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენად ნაყოფიერი შეიქმნება ხალხისთვის ამ კრების მოწვევა, არ ვიცით მომავალ კრების უფლება და სახელმწიფოს მართვისა და გამგეობის საქმეში მისი მომავალი გავლენა!

ვაი, თუ ხალხის წარმომადგენლებს იწვევენ მხოლოდ იმისთვის, რომ სადმე კარჩაკეტილში მოისმინონ მათი აზრი, მოჰკითხონ რჩევა!

ეჭვი არ არის, რომ კანონით წინდაწინვე იქნება გარკვეული ამ კრების უფლება და მოვალეობაც.

იმედია, რომ ბიუროკრატია ზედ-მეტ ბარგად არ მიიჩნევს საერო კრებას.

როგორც სჩანს, ეს კრება რუსეთში მუდმივი უნდა იყოს.

მთავრობის ბრძანებაში არ სწერია, რომ ეს კრება იქმნება მოწვეული მხოლოდ დროებით, პირიქით..

„ამიერიდან უნდა მიიღონ მონაწილეობა“..

ამნაირად ეს კრება ნამდვილ პარლამენტის მაგვარი იქმნება“.

—

შარაპოვი „რუსკოე დელო“-ში ამბობს: პეტერბურგში მომხდარი არეულობა ნამდვილი რევოლიუცია იყოო.

„ჯვრებითა და ხატებით ხელში წავიდნენ ხელმწიფესთან მუშები.. . . . სათხოვნელადო. მეთაურებმა მოატყუილეს მუშები, სათხოვნელად უნდა წავიდეთო, რადგანაც იცოდნენ, რომ სარევოლიუციოდ არავინ გაჰყვებოდა. ნამდვილად კი პეტერბურგის გადაწვა, სასახლის დანგრევა უნდოდათ.

ინგლისის გაზ. „სტანდარტ“-ში 8 იანვარს პეტერბურგიდან დეპეშა იყო დაბეჭდილი, რომ მღვდელი გაპონი იმუქრებოდა: „ვაი მეფეს, თუ ყველა სურვილი არ აგვისრულაო.“

ავსტრიაში დაწყებული ისტორიული განვითარება ჯერ დასრულებული არ არის.

ავსტრიის მაგალითს მისდევენ უთუოდ დანარჩენი სახელმწიფოებიც, სადაც რამოდენიმე სხვადასხვა ეროვნებას ერთად ცხოვრება მოუხდა.

ს.—ლი.

პირველი სიყვარული

(ლეგენდა *).

I

„...და იქმნა განთიად დღე მე-ათ-ორ-მეტი“, ბუნება ხარობდა: ადიდებდა ყოველი არსება შემოქმედს თავისებურად. ყველაფერს, ყველა არსებას ეტყობოდა ახლად აღორძინება, ახლად გაღვიძება, გამოკვეთა, გამოქანდაკება, და თავიანთი არსებობა თვით მათვე აკვირვებდა. ყველაფერი მოძრაობდა, იცინოდა, მხიარულობდა; ყველაფერი თავის საუკეთესო თვისებას იჩენდა და უკვირდა, თუ ეს რა იყო, რომ აქნობამდის არ იცნობდა თავის თავს?!. სად იყვნენ იგინი აქნობამდის?.. რატომ აქნობამდის არაფერს არ გრძნობდნენ, არ ჰხედავდნენ ყველაფერს?!

„აგერ მზე როგორ გაფაციცებით ადევნებს თვალყურს თავის თავს, ხარხარებს, მთელ მიდამოს უხვად მხედველობის ისრებს ესვრის, რომ ერთ დროს, ერთიანად ყველაფერი შეიმცნოს... ცა?.. ცა... მუქი ლურჯი ლაჟვარდი ცა, რომელშიაც დაკრთიან მზის ისრები, რის გამოც მისი ალტაცება, არც ფერადების სწრაფი ცვლილებით და არევ-დარევით იხატება, ხარბად დაჰმზობია ქვეყნიერობას და ჰლამობს ყველაფერი ერთად შეიმცნოს, ერთ წუთს შეიგნოს. თითქო ეშინიან, განსაკუთრებით რომელსამე ქვეყნიერობის ნაწილს, მასზე მოძრავს, ან მდგომს დააკვირდეს და შეისწავლოს, და შემდეგ ესე, ცოტცოტაობით შეითვისოს; არა...-ყველაფერს ერთად ეწაფება თავის ხარბი მხედველობით... ზღვას და ხმელეთს. ან კი რომელ წერტილს მისცეს უპირატესობა?.. რომელ წერტილს, რომელ ნაწილს ხმელეთისას, როდესაც ყველა მისთვის საყურადღებოა, ყველა იზიდავს მის მხედველობას?.. აგერ, რა ხდება ქვეყნიერობაზე!.. რომლისთვის დაახარჯოს მხედველობა და რომელს მიაპყროს?.. უპირატესობა რას მისცეს, როდესაც ყველაფერი მისთვის ახალია, თვით თვისი არსებობაც?!.

„ევასაც ეგევე დაემართა. სულ ორიოდ დღეა, რაც სისხლხორცით სავსემ, მჩქეფარე გულით დაინახა ზურმუხტი ცა, მისი მნათობნი, უმშვენიერესი არე-მარე; უმშვენიერესი ხმები ყურს ეწვეოდნენ იმას; უტკბესმა გალენთილმა სხვადასხვა მათრობელ სუნნელობით პირველ ჩასუნთქვაზედვე დაურბინა მთელ მის სხეულს, მოედო ნაზი ჰაერი; გარედანაც შემოეფინა იგი, და შეიბოჭა ევა, დათვრა... თვალები მილულა... და ატეხილ მწვანილოვანს, ყვავილოვანს მდელოს, რომელსაც ჩრდილავდნენ უცხო სიმშვენიერის ყვავილებით შემკული ხეხილნი, ახალი ყვავილი მიემატა... ჩაიფლო ყვავილებში...

„ადამს გამოეღვიძა და, ევა რომ დაინახა, წარმოსთქვა: „აჰ ესე ძვალი ძვალთა ჩემთაგანი და ხორცი ხორცთა ჩემთაგანი, ამას ეწოდოს ცოლი, რამეთუ ქმრისა თვისაგან გამოიყვანა ესე. ამისთვის დაუტეოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა, და იყვნენ ორივე იგი ერთ ხორც“.

— „ადამ, მცნება გახსოვდეს!—შუბლის მოჭმუხვნით მიჰმართა ღმერთმა, როდესაც ეს სიტყვები მოისმინა.

„ღმერთი უჩინარ იქმნა. ადამი კიდევ დასცქეროდა ევას, დიდხანს უმზირა და მერე გაეშურა სამოთხის სხვა ადგილების დასათვალიერებლად. ადამს დავალებული ჰქონდა, სახელები დაერქმია ყველა არსებისთვის. რასაც რა სახელი უწოდა, ეხლა ჩვენც იმ სახელებით ვიხსენიებთ...

„ადამმ სთქვა: „წყალს წყალი ერქვასო“, ჩვენც წყალს ვეძახით; „გველს გველიო; თევზს თევზიო; ლომს ლომიო; ქურციკს ქურციკიო“ და სხვა. სამოთხეში კი ყველა ცხოველი და ხეხილი იყო, მცენარე, ფრინველი, მწერი, მთა და ველი, რაც მთელ ქვეყნიერობაზეა...

„საკვირველი არ არის, რომ იმ ერთმა კაცმა ყველაფერს ასე ზედ გამოჭრილი სახელები დაარქვა?!.

„პირველში ყველაფერს ისევე დაემართა რაც მზეს, ცას და ევას. ევას გული წაუვიდა, მზე თვალს ვერ აშორებდა, ცა დამხობილი დაიბნა, პირუტყვები ხომ სულ გადაირივნენ... დარბოდნენ, დახტოდნენ, ყირთამალა გადადიოდნენ... უხაროდათ.. სიხარულიც კი ვერ შეეგნოთ... ადამიც ჰბაძავდა ხოლმე და თავის უნებურად ფუნდრუკაობდა, დახტოდა და ხავერდისებურ მცენარეულობაში გორაობდა...

„... იყვნენ ორნივე შიშველ, ადამ და ცოლი მისი, და არა რცხვენოდათ“.

„ღმერთი კი ჩააფიქრა ადამის სიტყვებმა: „... ამისთვის დაუტეოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა“...

„რას მოასწავებს ეს?... ფიქრობდა ღმერთი... ადამის მამა, დედა მე ვარ და... „დაივიწყოს მამა თვისი...“ მე დამივიწყებს?... არა!..“

„ღმერთმა გადასწყვიტა ადამის მოქმედებით მისი სიტყვების სიმართლე გაეგო, თუმცა არა სჯეროდა...

„ამ დღესაც მეათორმეტესა“—ერთი და ორი დღე ვერ შეაგნებინებს ახლად დაბადებულთ ყველაფერს—იგრევე დარბოდნენ ცხოველები, როგორც მათ პირველ დაბადების დღეს, ხმაურობდნენ, თითქოს გაკვირვებულები, რომ ხმაურობა შეეძლოთ, უფრო მაღლა და მაღლა ყვიროდნენ.

„აგერ ხარ ირემს ცხვირი მიწისთვის დაუბჯენია და ჩაჰბღუის, თითქო იქ ჩაჰვარდნია ვინმე და უძახისო; გვერდით ფურ-ირემი ამოსდგომია და ალერსით უსვამს ცხვირს მის ყბებს; იქით ხვადი ლომი საშინლად ღრიალებს და თითქმის ხეებზე მაღლა ხტის; ძუც იმაზე არა ნაკლებ ღრიალებს და ხტის; არც ტურა, მელა, მგელი აკლებენ; ხარხარებენ, ყმუიან, ჩხავიან და... ფრინველები ხომ იჭაურობას იკლებენ... ყველა სულდგმული ხმაურობდა, და მხოლოდ თავის ხმით და მოძრაობით იყო გატაცებული. მათ ხმაურობას, მოძრაობას სამოთხის ნიავი მცენარეულობის ჩურჩულს, ხეების ბაასს ურთიერთდა და ნაკადულთა ჩხრიალი და იქავე ცოტა მოშორებით მდინარეთა ხუილი ბანს აძლევდნენ...

„ევა გონს მოვიდა. ჯერ თვალები არ გაეხილებინა, რომ მისმა სხეულის კუნთებმა მოძრაობა დაიწყეს... სამეჯლიშო ბუნების სიმღერამ მაღლა, მაღლა აიტაცა ევა. არ დარბოდა, მაგრამ ეგონა მაღლა სადღაც ნეტარებაში ქყუპაობდა... მისი სხეულის ყოველი წერტილი ჰგრძნობდა ამ ნეტარებას... მარტო გონება კი არა?! მთელი მისი სხეული...

„მძიმედ ასწია თვალის ქუთუთოებს, თვალითაც დაენახა ნეტარება და...

„მაშინვე მისი თვალები გველმა მიიპყრო, რომელიც ხეს ჩასწნოდა... ევა დააშტერდა. ამ დროს მეორე გველი აცურდა და ისე ჩაეხლართა პირველს, რომ ძნელი იყო გამორკვევა, თავით ბოლომდის თვალის გაყოლება, თუ რომელი ხვეული რომელ გველის თავის გაგრძელება იყო.

„—ჰავ!—წყვილად დაჰჭყივლეს უეცრივ უმშვენიერეს ფრინველებმა და ევას მხედველობით ხაზი გაარღვიეს.

„თან გაიყოლიეს ევას თვალი. იქავე ახლო ხის შტოზე ამოუჯდნენ ერთი მეორეს გვერდით. მათ მთრთოლარე ფერად სამოსს ევა თვალს ვერ აშორებდა. წყვილი ახმაურდა, ათამაშდა, შტო შეირხა... ევასაც გული აუტოკდა, ტანი აუთრთოლდა, სისხლმა მედგრად დაუწყო მილებში ჩქეფა. წყვილი გაერთდა, მოსწყდა, და... ახ!—წამოიკივლა ევამ და წამოიწია, რომ თვალი მიეყოლებინა... მოენატრა, რატომ იგიც იმათთან ერთად არ დაეშვა ყვავილებში, მოენატრა, რატომ იგიც სხვა სხეულის შეხებით იგივე ნეტარების ხმას არ იღებს?!..

„ევამ წამოიმუხლისთავა თრთოლით, რომ დაენახა წყვილი, რომელიც ყვავილებში ჩაიფლო.. ყვავილები ირხეოდნენ... ერთმანეთს ეხვეოდნენ, ეალერსებოდნენ და...

„ევამ გაიშვირა თავისი მკვრივი, სისხლითა და ხორცით სავსე მაგარი მკლავები, მთელი სხეულის ძარღვები მაგრად დაეჭიმნენ, თითქო ადგილიდან მოწყვეტა უნდოდა, რომ ერთ წამს მოძრავ ყვავილებს შეერთებოდა, კამარის შეკვრა დააპირა.

—ევა!..

—ადამ!..

ადამი რამდენჯერმე შემთხვევით მოვიდა გონება-მიხდილ ევასთან, მაგრამ რა კი არ იცოდა, როგორ მოეყვანა გონს, ისევ ბრუნდებოდა, ჩქარა ბუნების მეჯლიშში ებმოდა... ეხლაც შემთხვევით წამოაწყდა ამ ადგილს, და, ევა რომ წამოჩოქილი, ხელებ წინ გაწვდილი, ალგზნებული თვალებით დაინახა, სწრაფ მასაც მოედო ელვარება და:

— ევა!... არა ჩვეულებრივის ხმით წამოიძახა.

— ადამ!.. იმავე წამს წამოიძახა მთრთოლვარე ხმით ევამ და კამარა შეჰკრა...

„წამს ჩაეხვია—მოძრავ ყვავილებს კი არა—ადამს, და, თუ ევას გაუძნელდა გველების ჩაწვენის თვალების ჩადევნება, ეხლა მოსისინე გველებს უძნელდებოდათ ადამ და ევის ჩახლართვის თვალის თავიდან ფეხებამდის ჩაყოლება ..

„ცა ისევ ისე გაფაციცებით ჰლამობდა ყოველივე არსებულის ერთად შეგნებას, მზეც ამასვე, არსებულნიც, მეჯლიშში ჩაბმულნი, სადღესასწაულო ჰანგს ჰგალობდნენ, რითაც არემარე იღინთებოდა... მხოლოდ ევას და ევასთან ერთად ადამს აღარა ეყურებოდა-რა... არსებობდა თუ მათ გარეშე სხვა რამ?.. არ ესმოდათ... იგინი ეხლა ნეტარებაში კი არ დაცურავდნენ, როგორც ევას პირველ გამოფხიზლებაზე მოეგრძნო, თითონ ნეტარებას შეადგენდნენ.. ნეტარება ხომ, აბა რაღა მოენატრებათ?!.

„არე-მარე მთლად შეიცვალა; ცას შავი ღრუბელი გადაეკრა და, რასაკვირველია, მზესაც. მხიარული ქუდის მაგიერად ქვეყნიერობას შავი, მრისხანე ჩაჩი ჩამოეფხატა. ქვეყნიერობამ ხმა გაკმინდა. სასტიკმა ქარმა დაჰქროლა და იჭაურობა მრისხანედ აახმაურა...

„ადამ და ევა მაშინვე წამოხტნენ, ლეღვის ხეს შეეფარნენ და იმის განიერ ფოთლებით სხეული დაიფარეს...

„ეს ღმერთი შემოვიდა სამოთხეში. გულთახილავმა მაშინვე შეიტყო ადამ და ევას ცოდვა და ამისთვის ისე მრისხანედ შემოვიდა. უნდოდა ამით მოენანიებინა. რაკი გაიგო ღმერთმა, რომ ადამ და ევა ემალებიან:

— „ადამ, ადამ, სადა ხარ?!“—დაეკითხა ღმერთი მაღალის ხმით.

„ხეები უფრო ახმაურდნენ, ლეღვის ფოთლები სულ მთლად მიეყარნენ ადამ და ევას, რადგანაც ღმერთის ხმის ამოღება ისე ძლიერი იყო, რომ სასტიკ ქარზე უფრო უარესად დაჰქროლა. სულდგმულმა კი სუნთქვა განაბა შიშისაგან...

— „ხმისა შენისა...—დაიწყო ხმის კანკალით ადამმა... მესმა მავალისა შორის სამოთხესა, და შემეშინდა, რამეთუ შიშველ ვარ, და დავიმალე“.

— „ვინ გითხრა, რამეთუ შიშველ ხარ... ჰრქვა ღმერთმა... უკეთუ არა ხისაგან, რომლისა გამცემ გამცენ შენ, მისგან მხოლოდ არა ჭამა, და მისგან ჰჭამე?“

—„დედაკაცი, რომელი მომეც ჩემ თანა, მან მომცა მე ხისა მისგან, და ვჭამე“.—უპასუხა უფრო დაბნევით ადამმა.

„და ჰრქვა უფალმა ღმერთმან დედაკაცსა: „რაბა ესე ჰყავ?“

„ადამის სიტყვებზე ევამ თვალები დააჭყიტა და ადამს გაკვირვებით მიაშტერა.

„ადამი მიჰხვდა ევას თვალების აზრს და წაჰბუზღუნა: „შენ კი არ გაბრალებ, მინდა თავიდან მოშორება და ღმერთივე დამნაშავედ გამომყავს. „შენ რომ ევა არ მოგეცა, არ შევცოდებდი“... ამას ეეუბნები ღმერთს და...

„ევა მიჰხვდა და სწრაფად გველი წარმოუდგა თვალ წინ, რომელიც პირველ თვალის გახილვაზე დაინახა...

„— გველმან მაცდუნა მე და ვჭამე...“—იმავე კილოთი უპასუხა ევამ, როგორითაც ადამმა. „შენ რომ ევა, გველი არ გაგეჩინა, არ შევცოდავდით“.. მათი პასუხიდან ეს გამოდიოდა. ადამმა გადააბრალა ევას, რომელიც თითონ ღმერთმა მისცა, და ევამ კიდევ გველს, რომელიც მასზე ადრე გააჩინა. ვინ იყო დამნაშავე?.. რასაკვირველია, მათი შეხედულობით—ღმერთი.

„ღმერთი მიუხვდა მათ და უარესად განრისხდა. მაშინვე სამოთხიდან გასვლა უბრძანა...

„— უფალო, ჩვენ ერთმანეთისა არა გვრცხვენის, რამეთუ შიშველნი ვართ... სთქვა ევამ... მხოლოდ შენ იბრუნე პირი, რომ შენი ბრძანება შევასრულოთ და შენი სამოთხე დავტოვოთ.

„ღმერთი ჩაფიქრდა, ევას სიტყვებმა გააკვირვეს და შეეკითხა:

„—ევა, შენა ჰსთქვი: „შენი სამოთხე დავტოვოთო?“

„— ჰო!

„— ეს თქვენთვის შევქმენი.

„— მაშ რაღად გვეუბნები, გადითო?!

«ღმერთი კიდევ ჩაფიქრდა. ადამიც ფიქრო-

---

*) ეს ლეგენდა არაგვის ხეობაში ერთმა მთიულის მოხუცებულმა დედაკაცმა მიამბო და სიტყვა-სიტყვით გადმეცა. არას ვუმატებ.

შ. ა.

8 იანვარს გაზ. „დელი მაილი“ ამბობდა მეთაურში, რომ პეტერბურგში სარევოლუციოდ ემზადება ხალხი, და მთავრობას ურჩევდა ხალხის საწინააღმდეგოდ ზარბაზნის ყუმბარა იხმარეო.

უცხოეთის ყველა გაზეთმა წინ და წინვე იცოდა, რომ პეტერბურგში არეულობა და საშინელი სისხლის ღვრა უნდა მომხდარიყო გაპონის მეთაურობით.

გერმანულ გაზეთის კორესპონდენტი წინა დღით ატყობინებდა თავისიანებს დეპეშით ბერლინში:

„ხვალ 2 საათზე 140.000 მუშა, გაპონის მეთაურობით, ხელმწიფის სასახლისაკენ გაემართება. უნდა გადასცენ თხოვნა და მოითხოვონ დაუყოვნებლივ ასრულება ყველა იქ ჩამოთვლილი სურვილისა. . . ამბობენ, რომ დაანგრევენ სასახლეს, თუ ხელმწიფემ არ მოისურვა მათი მოსმენა. . . . დღეს დაევსწარი თერთმეტ სხვადასხვა კრებას და ყველგან იმავე გადაწყვეტილებას ადგია ხალხი . . . პოლიცია წინააღმდეგობას ვერ უწევს.

ეს დეპეშა დაბეჭდილი იყო ბერლინის გაზეთში 9 იანვარს, დილის 7 საათზე, ე. ი. მაშინ, როდესაც ჯერ პეტერბურგში არ დაწყებულიყო ის საშინელი სისხლის ღვრა, რომელმაც შეაძრწუნა მთელი კაცობრიობა.“

როგორის თვალითაც უყურებენ რუსეთში კავკასიის ერთა წარსულს და აწმყოს,— ნათლად სჩანს გაზ. „კიევლიანინის“ მეთაურში:

„ჩვენს დროს საერთო არეულობამ შეასუსტა მთავრობის ძალა და გამოიწვია სისხლის ღვრა კავკასიაში მცხოვრებ სომხებსა და მაჰმადიანებში. ეროვნული სიძულვილი, რომლის გამო რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში იტანჯებოდა და სისხლის მორევში დასცურავდა კავკასია, მოისპო რუსების შემოსვლით კავკასიაში. კავკასიამ იგემა მშვიდობიანობა. ეს მდიდარი ქვეყანა განვითარების გზას დაადგა და მხოლოდ აქაიქ ზოგიერთ ავაზაკობის ამბავი გაახსენებდა ადამიანს, რომ კავკასიაში ჯერ სრულებით არ არის ჩაქრალი სისხლის ღვრის სურვილი. მაგრამ რუსეთის შინაურმა მტრებმა და სომხებმა გააღვივეს ალი და ამით გამოიწვიეს სისხლის ღვრა ბაქოში და შემდეგ ერევანშიაც. როდესაც ქუჩებში იღვრება სისხლი, ყოველივე უფლება უნდა ჩაჰბარდეს ჯარს, რომ ძალით მოისპოს საერთო უბედურება. ამიტომ სასიხარულოა ბაქოში სამხედრო წესების შემოღება, ამნაირივე წესები დამყარდება ალბად ერევანშიაც, და სხვ.

ადამიანს ეგონება, რომ გაზეთი რაღაც ველურების შესახებ ლაპარაკობსო. ავიწყდება, რომ ასეთივე და კიდევ უარესი ამბები მომხდარა რუსეთში ურიების საწინააღმდეგოდ, სადაც მოქმედებდნენ თვით რუსები; ავიწყდება, კურსკის ამბავიც, სადაც პატარა ბავშვებსაც კი ცხვირპირს ამტვრევდნენ...

მაგრამ, იმათ აზრით, „ველურები“ მხოლოდ კავკასიაში ცხოვრობენ და სწორედ ამიტომ ამბობს იგივე გაზეთი:

ბაქოში დაღვრილი სისხლი არ დაავიწყდება არავის და გამოიწვევს უთუოდ სისხლის ძიებას და განუწყვეტელ სისხლის ღვრას,

რომლის გაჩერება, გაზეთის აზრით, შეუძლია მხოლოდ ხიშტსა და მათრახს...

იგივე გაზეთი აფრთხილებს რუსებს,—პოლონეთში საშინელი ამბები ხდებაო“:

„ზოგიერთი დასი პირდაპირ რევოლუციას ჰქადაგობს, და სცდილობს, რუსეთს პოლონეთი პოლიტიკურად სრულებით დააშოროს.

მართალია, ზოგიერთები აფრთხილებენ საზოგადოებას და სისხლის ღვრის თავიდან აშორებას ურჩევენ, მაგრამ გაზეთი არ სჯერდება იმათ სიტყვას და ემუქრება პოლონელებს,—თუ არ დამშვიდდით, ახლავე ძალით დაგამშვიდებთო.

„რუსებს იმიტომ უყვნია პოლონეთში ურიცხვი ჯარი, რომ პოლონელებმა შემდეგში ვერ გაჰბედონ თავისუფლებაზე ოცნება.

აჯანყება თუ მოხდა, მტყუანსა და მართალს არ გავარჩევთ,—ჩვენთვის ყველა მტყუანი იქნება და ყველასაც სამაგალითოდ დავსჯითო.

ასე ჩემობს გაზეთი პოლონეთის დამშვიდებას და, რასაკვირველია, სრულიად დარწმუნებულიც არის, რომ მისს სიტყვას გავლენაც ექნება.

რუსეთი

როგორც ამბობენ პეტერბურგის უნივერსიტეტის ის **სტუდენტები**, რომელნიც წინააღმდეგნი არიან სწავლის დაწყებისა, უნივერსიტეტიდან იქნებიან დათხოვნილი და სამხედრო ბეგარის გადასახდელად ჩაირიცხებიანო (რ. ს.).

ლიტერატორებსა და მხატვრებს მოსკოვში ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისთვის საჭიროდ უცვნიათ: 1) მოისპოს ყოველგვარი ცენზურა ლიტერატურასა და ხელოვნებაში და ყოველი დანაშაული ამ მხრივ მხოლოდ სასამართლომ განაგოს. და 2) ამისათვის კი მოხდეს ძირითადი ცვლილება სახელმწიფოს წესწყობილებაში.

იმ კომისიაში, რომელსაც შეუმუშავებია ეს მუხლები, წევრად ყფილან ყველა ცნობილი ლიტერატორები და ხელოვნების წარმომადგენელნი (რ. ს.).

ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორების კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა უნივერსიტეტში სწავლის წესიერი მსვლელობის აღდგენა და გამოკვლევა, **აი რა დაუდგენია**: არსებულ პირობებში აკადემიურ ცხოვრების წესიერი მსვლელობა შეუძლებელია. ერთად ერთი გზა, რომელიც უნივერსიტეტს გამოიყვანს ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან—სრული აკადემიური თავისუფლება და უნივერსიტეტის ავტონომია არისო. მაგრამ თვით ამ ცვლილების მოხდენა შეუძლებელი იქნება, თუ ძირიანად არ შეიცვალა თანამედროვე წესწყობილება ჩვენი სახელმწიფოსიო, თუ ერს არ ელირსა კანონები, რომელიც დაიცავენ სინიდისის, სიტყვის, წერის თავისუფლებას, პიროვნებისა და სადგომის ხელშეუხებლობას, კავშირებისა და კრებების დაუსჯელად შედგენას; ერთი სიტყვით თუ არ დამყარდება რუსეთში კანონიერება ყოველ სფერაში და საზოგადოებას არ მიენიჭება უფლება თავისი ამორჩეული წარმომადგენელების სახით კანონმდებლობაში და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობა მიიღოსო (კიევ.).

სტუდენტობამ მარტო პროფესორებზე არ იქონია გავლენა, მის გავლენამ საზოგადო მოღვაწეებზედაც იჩინა თავი. მაგ., ამას წინად მოსკოველ სტუდენტების ერთმა გუნდმა ერობისაგან მოითხოვა ხმის ამოღება მოსწავლე ახალგაზდობის დასაცველად და საზოგადოების ნაძირალთა კლანჭებიდან გამოსახსნელად. 19 თებერვალს იგივე გუნდი სტუდენტებისა საერობო კრებაზე მივიდა და მოითხოვა, ერობის მიერ აღძრული იყოს საკითხი გაზეთების „ნაშა ჟიზნის“ და „ნაში დნის“ იმ განკარგულებისაგან განთავისუფლების შესახებ, რომლითაც ეს გაზეთები შეჩერებული არიან (კიევ.).

ხარკოვში ერთს სტუდენტს გამოეკიდა ექვსი უსაქმოდ მოხეტიალე და ცემას უპირებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ სტუდენტმა მათ ქუდი არ მოუხადა. (კიევ.).

ქალაქის საბჭო

სამშაბათს, 28 თებერვალს, საბჭოს კრებაზე ხმ. ხუდადოვი, წარსული სხდომის ოქმის წაკითხვის შემდეგ, შეეკითხა ქალაქის თავს, მოხდა თუ არა ნამდვილად, ის შემთხვევა, რომელიც ამას წინათ „ტფილისის ფურცელმა“ გამოაცხადა, ვითომც აგჭალის ქუჩაზე გამგეობის მოსამსახურეებს დახვდა ორი ყაზახი და შეეკითხა: ვინა ხართ — რუსი, ქართველი, თუ სომეხიო, და, როცა პასუხად მიიღო: „რუსები“, ამ სიტყვებით — „врете, армяшки“ — ხმალი ამოიღო და კინაღამ დაჩეხაო. ხმოსანი კითხულობდა, თუ მართლა მოხდა ეს, რა ღონისძიებას მიიღო ქალაქის მოურავმა, რომ კვლავ აღარ გამეორდეს მაგისთანა ამბავიო.

ქალაქის თავმა განაცხადა, რომ მაგისთანა შემთხვევა მართლა მოხდა აგჭალის ქუჩაზე, ჩვენმა მოსამსახურეებმა იჩივლეს ჩემთან და მე იმ დღესვე ვიყავ გუბერნატორთან, ავუხსენი ყველაფერი და გუბერნატორმაც დამამშვიდა, სასტიკს ღონისძიებას მივიღებ შემდეგისთვისაო.

ქალაქის მოურავის მიერ მიღებულმა ღონისძიებამ არ დააკმაყოფილა ხმოსნები, რომელნიც თხოულობდნენ საქმე პროკურორისთვის უნდა გადაეცათო. ხმ. ამირხანოვის აზრით, ამისთანა შემთხვევებს, რომელიც მოურავის სიტყვით რამდენჯერმე ალაგას კიდევ მომხდარა ტფილისში, ძლიერ სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც შეიძლება აქ ის ამბები განმეორდეს, რაც ამ ბოლოს დროს რუსეთის თითქმის ყოველ ქალაქში ხდება. მოსკოვის საბჭო ისე დააშინა ამ გარემოებამ, რომ მთელი „დრუჟინის“ დაარსება მოითხოვა წესიერების დასაცველად; ბაქოს საბჭომაც აღძრა შუამდგომლობა, რომ გამგეობის მოსამსახურენი შეიარაღებულნი ასრულებდნენ თავის მოვალეობას. ხმ. ა. ბაბოვი: ამისთანა შემთხვევა ჩვენგან ფხიზელ ყურადღებას უნდა იწვევდეს. ისინი, ვისაც მინდობილი აქვს, ჩვენი მშვიდობიანობის დაცვის საქმე, თვითონვე გვცემენ. აქ უბრალო შემთხვევას არა აქვს ადგილი, აქ მთელ ქალაქს მთელის საფრთხე, ამისთანა დაუსჯელი თვით-ნებისგან კანონიერი წესიერება ირღვევა და ჩვენი თავი ჩვენვე უნდა დავიცვათ. თუ მოურავს ეს არა სურს, საბჭო მოვალეა თვითონ იზრუნოს, რომ მოქალაქის პირადი თავისუფლება ხელუხლებელი იყოს. გავიხსენოთ კურსკისა და მინსკის ამბები, როცა თვით ისინი სცემდნენ ხალხს, რომელთა მოვალეობა წესიერების დაცვას შეადგენდა.

ხმოსანი ითხოვდა ბაქოს მსგავსად ჩვენც აღვძრათ შუამდგომლობა, რომ ჩვენი მოსამსახურენი შეიარაღებულნი იყვნენო.

ქალაქის თავი: მე მაგ შემთხვევებს ვერ მივცემ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. იმდენა ქალაქში, როგორიც ტფილისია, ამისთანა შემთხვევები აუცილებელია. არ შეიძლება ორი ყაზახის სიტყვებს, რომელნიც, ვინ იცის, იქნება მთვრალებიც იყვნენ, დამახასიათებელი მნიშვნელობა მივცეთ და აქედან ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ მთავრობას ჩვენ ვეჯავრებით და ან კანონიერ თავის დაცვას ვერ ვპოვებთ. ამისთანა დასკვნა ძლიერ აჩქარებული იქნება ჩვენის მხრით, რადგანაც ტფილისში ერთაშორის სრული სოლიდარობა არსებობს და არავინ დაარღვევს მშვიდობიანობას, დავკმაყოფილდეთ გუბერნატორის დაპირებით, რომ აღარ გამეორდება მაგისთანა ამბებიო.

ხმ. დოლუხანოვი შეეკითხა გამგეობას, რა მიზეზია, რომ მეეტლენი გაიფიცნენო.

ქალაქის მოურავის სიტყვით, არავითარი გაფიცვა არ ყოფილა. მეეტლეთა დეპუტატები ყოფილან მოურავთან და გამოუცხადებიათ, ტრამვაიმ ცუდი საქმე გვიყო, ჩამოგვაშორა მგზავრები და გვიშველეთ რამეო.

ხმ. სულხანოვის აზრით, მეეტლეთა მდგომარეობა მართლა ცუდია და გამგეობამ დახმარება უნდა აღმოუჩინოს.

ამ შეკითხვის შემდეგ საბჭომ დაამტკიცა ტრამვაის მეთვალყურე კომისიის მიერ შემუშავებული ინსტრუქცია, რომლითაც განსაზღვრულია ის პირობები, რომელიც მხედველობაში უნდა მიიღოს უსახელო საზოგადოებამ ტრამვაის ვატმანების დანიშვნის დროს.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საფინანსო და ნავთის ვაჭრობის მეთვალყურე კომისიის გადაწყვეტილებამ, რომელიც შეეხებოდა უსახელო საზოგადოების მიერ აღძრულ შუამდგომლობას: მიეცეს საზოგადოებას ნება სადგურიდან თავის საჭიროებისათვის გაიყვანოს ქუჩებში მილები და ამ მილებით ზიდოს საჭირო ნავთი და მაზუთი.

გამგეობისა და კომისიების აზრით, უსახელო საზოგადოებას ამ მილების გაყვანით კარგი საქმე მოუვა. ჯიბეში 7,000-დის დარჩება და ქალაქი კი სარგებლობას ვერა ნახავსო. ამიტომ ქალაქმა უბაჟოდ არ უნდა მისცეს ნება მილების გაყვანისაო.

პირიქით გამგეობის წევრი ენფიანჯიანცი და ხმ. შახ-ბუდაგოვი და დოლუხანოვი ამტკიცებენ, საზოგადოება არაფერ იმდენს არ მოიგებს, რისაც ქალაქს შემატებსო; მილით ზიდვა მაზუთისა და ნავთისა ქალაქს ჰიგიენის მხრივ გაუმჯობესებს და ბოლოს ხომ ქალაქსვე დარჩება მზა-მზარეული კარგად მოწყობილი საქმეო. დიდი ლაპარაკის შემდეგ, საბჭო დაეთანხმა გამგეობისა და ფინანსიურ კომისიის გადაწყვეტილებას და გადაწყვიტა, ნება მიეცეს უსახელო საზოგადოებას მილები გაიყვანოს, მხოლოდ ამისთვის წლიურად იხადოს გადაწყვეტილი ბაჟი.

წერილი რედაქციის მიმართ.

შეძრწუნებული იმ საშინელ ამბებით, რომელიც მოხდა ბაქოში ერთმანეთის მოულოდნელ ამოჟლეტის დროს, ბაქოს სომხები დასტირიან თავისიანებს და მეზობელ მაჰმადიანებსაც, რომელთანაც რამდენისამე საუკუნის განმავლობაში მშვიდობიანად უცხოვრიათ ყოველთვის. ამ უბედურების დროს ბაქოს სომხებს არ შეუძლიანთ არ აღნიშნონ ის გულწრფელი თანაგრძნობა, რომელიც გამოუხცადეს ქართველების სხვა და სხვა წარმომადგენლებმა.

ნუგეშის და თანაგრძნობის ძლიერი სიტყვები, რომელიც გაისმა ამ საშინელ ამბების გამო კავკასიის სხვა და სხვა კუთხეში, გვარწმუნებენ, რომ მალე დადგება ის ნეტარი დღე, როდესაც კავკასიის ყოველი ერი ძმად დაისახავს დანარჩენ ერებს და ჩვენი სამშობლოს საერთო მიზნების მისაღწევად საერთოდვე იმოქმედებს.

ბაქოს სომხები გულწრფელ მოკითხვას უთვლიან ყველა იმ მოწინავე ქართველს, ვინც არ უფრთხის ბნელ ძალთა წინააღმდეგობას, ცდილობს განამტკიცოს ყველა ერთა შორის ძმობა, ერთობა და კავკასიის ერებს კულტურისა და პროგრესის გზაზე სწორედ აერთებს.

გავა რამოდენიმე წელიწადი, ბნელ ძალებს დასთრგუნავს სიყვარულისა და ძმობის ქადაგება და მადლიერი შთამომავლობა, ეროვნების და სარწმუნოების განურჩევლად,—მოწიწებით თავს დახრის იმათ სახელის წინაშე, ვინც სთესავდა სამშობლო მხარეში გონიერებას ჰპატიოსნებას და საერთოდ სიკეთეს...

17 თებერვალი ქ. ბაქო.

არქიმანდრიტი მხითარი, პ. გუკასოვი, ს. ტაგიანოსოვი, ს. არუთინოვ, კ. ხატისოვი, ა. ასრიბეგოვი, ი. საგატელიანი, ი. კოჩარიანი, ი. ტერ-მიქელიანცი, ბ. დოლუხანოვი, ოვ. კაჩაზნუნი, ტ. ზაქარიანი, ა. საფაროვი, ნ. ტერ-ტამასოვი; ტ. ბუდაღოვი, ლ. გულიევი, ექ. კ. სარქისოვი, ინჟ. ა. ადამოვი, მ. შათიროვი, ინჟ. მ. ანდასიანცი, ა. ოლოჯანოვი, ს. ადამოვი, ტ. ბექზადიანი, ქრ. სარქისოვი, გმ. ნაზარიანცი, ერ. ტაგიანოსიანი, დ. არუთუნიანი, ავ. ვაჩიანცი, ხ. ბაგატუროვი, ი. შხიანცი, ა. კაჩიანცი, არ. გუკასოვი, ა. დასტაკოვი, არ. პარონიანი, ექიმი ა. არუთინოვი, ს. ხაჩატრანი, ა. ტერ-აკოფოვი, ივანე ამიროვი, ივანე ტერ-აკოფოვი, სერგეი აივაზოვი, არშაკ ყუნანოვი, სტეფანე ხოჯაევი, ა. ვართაზაროვი, მიხეილ ალიბეგოვი, ივანე ალიბეგოვი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

1 მარტი.

ტოკიო. ოფიციალი. ციხენჩენის დაპყრობის შემდეგ იაპონელებს შემდეგი დავლა ერგოთ მინძინამდე: 2,200 თოფი, 6 მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზანი, 320,000 პატრონა, 6,000 იარაღი და რკინის გზის მასალა, რომელიც 34 მილის ლიანდაგს ეყოფა, 450 ვაგონი, 10 ეტლი ტანსაცმლით და ურიცხვი ხორბალი და საკვები. რუსებმა დასტოვეს 1200 მოკლული, 800 დატყვევებულია. რუსების ზიანი 20,000 კაცს აღემატება.

ლონდონი, 1 მარტი. გაზეთებში სრულიად არ არის ომის დეპეშები, რადგან ტოკიოში აგვიანებენ.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშები გენერალ-კუროპატკინისა, 1, 27 თებერვლის თარიღით: გენერალ-ადიუტანტი ბარონ მეიერდორფი 25 თებერვალს ცხენმა გადმოაგდო, მხარი მოსტყდა და ხარბინს გაგზავნეს. 2, 28 თებერვლის თარიღით: წარსულ ღამეს ცნობები არ მომსვლია ბრძოლის შესახებ.

სუდა, 28 თებ. მაროკის წყლებიდან მოვიდა რუსეთის ესკადრა ნებოგატოვის უფროსობით. ესკადრა შეიცავს—4 ჯავშნოსანს, 1 კრეისერს, 3 ტრანსპორტს, 1 ბუქსირს და 3 უცხოთა ტრანსპორტს.

ლონდონი, 28 თებ. იაპონიის საელჩო იუწყება, რომ მაძიატუნსა და სხვა ადგილებში რუსებმა სურსათის საწყობები დასწვესო.

ოდესსა, 28 თებ. წავიდა წითელის ჯვრის ბაირაღით სამკურნალო მასალებით დატვირთული გემი „კოსტრომი“, როჟესტვენსკის ესკადრისთვის საავადმყოფოდ დანიშნული.

ლონდონი, 28 თებ. „პოსტი“ იუწყება, რომ ვაშინგტონის დიპლომატიურ წრეებში დანამდვილებით მოელიან, ერთს კვირის შემდეგ იაპონია მტკიცედ გადასდგამს ნაბიჯს შესარიგებლად და იმდენად ადვილ პირობებს შეუთვლის რუსეთს, რომ იგი მას უეჭველად მიიღებსო.

ბერლინი, 28 თებ. „კელნიშე-ცეიტუნგი“, როგორც სჩანს, ოფიციალურ წყაროების მიხედულებით ამბობს, რომ ორთავე მხარემ მუკდენის ბრძოლაში დიდი ზარალი ნახა, რის გამოც ორივე მოწადინებული იქნება, ომს ბოლო მოუღოს. „კრე-ცეიტუნგის“ ფრიად მცოდნე სამხედრო მიმომხილველი ამტკიცებს, რუსები ტელინის ვერ შეინარჩუნებენ და ხარბინისკენ დაიხევენო.

ჰონკონგი, 1 მარტს გემ «ტაიმონს» ფილიპინელთა კუნძულების მახლობლად შეუნიშნავს ალმისავლეთისაკენ მძიმედ მიმავალი იაპონიის 15 სამხედრო გემი.

ტოკიო, 28 თებ. რუსეთის პროტესტის გამო, ვითომც იაპონიას მონგოლიაში გადასვლით ჩინეთის ნეიტრალიტეტი დაერღვიოს, ოფიციალური ცნობაა, რომ რუსეთის მიერ ამის მტკიცება მართალი არ არის. არა თუ იაპონიის ჯარები არ შესულან მანჯურიაში, არამედ თვითონ რუსებს დიდი ხნიდან იქიდან მოსდიოდათ სურსათი. ამის დასამტკიცებლად ექვსი შემთხვევაა დასახელებული.

პეტერბურგი, 1 მარტი [illegible]. უმაღლესი რესკრიპტი გენერალ-ადიუტანტ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის სახელობაზე [illegible] ივანეს ძე. მას აქედ, რაც კავკასია რუსეთის სახელმწიფოს დაემორჩილა, [illegible] და მეც ვზრუნავდით ამ მხარეში კეთილ მდგომარეობა და ისეთი წესწყობილება დამყარებულიყო, რომელიც მჭიდროდ შეუერთებდა მას ჩვენის სამშობლოს დანარჩენ ნაწილებს. ამ მხრივ წარმატება უკვე იყო, კავკასიის მკვიდრთა ცხოვრება გაუმჯობესდა, [illegible]ლი კავკასიის შვილთაგანი თვალსაჩინოდ იღვწოდა რუსეთის სასარგებლოდ და სასახელოდ; ხოლო, ჩემდა სამწუხაროდ, უკანასკნელ დროს ეს ყოველივე დაირღვა სხვადასხვა ერთა შეტაკებამ ურთიერთ შორის, ურჩობამ მთავრობის მოხელეებისადმი, საზოგადო მყუდროების დამრღვევმა არეულობამ. ყოველი ესეთი უწესოება დროებით მოვლენად მიგაჩნია და საჭიროდ გცან დაუყოვნებლივ სიმშვიდე დავამყაროთ კავკასიაში, რათა ეს მხარეც თანამოზიარე იყოს საშინაო შემოქმედ შრომაში, რომელიც ჩვენს სახელმწიფოში უნდა დაიწყოს ჩემს განზრახულებათა აღსასრულებლად. ამ აზრით გნიშნავთ თქვენ ჩემს მოადგილედ კავკასიაში. თქვენი ცოდნა ამ ქვეყნისა, რომელიც შეიძინეთ იქ სამსახურის დროს, მრავალმხრივი თქვენი სახელმწიფოებითი გამოცდილება და თვალსაჩინო თქვენი შრომა სამშობლოს სარგებლობისათვის, მტკიცედ მარწმუნებს, რომ თქვენდამი მინდობილ საქმეს სავსებით აღასრულებთ, კავკასიის ყოველ ეროვნობისა და წოდების კეთილგონიერ კაცთა ხელშეწყობითა და დახმარებით.

სტამბოლი, 28 თებ. პორტამ აცნობა საელჩოებს, რომ წარსულს კვირას გრადიშეს მახლობლად მეამბოხეთა 50 კაცამდე შემდგარ რაზმთან შეტაკების დროს წაურთმევიათ 12 თოფი, ყუმბარები და სხვა იარაღები.

მოსკოვი, 28 თებ. კრემლის კედლებს პირდაპირ, მოსკოვის მდინარის ნაპირს, მოხდა ძლიერი აფეთქება. პოლიციელი რამდენიმე საჟენზე გადისროლა მხოლოდ არა დაუშავდა-რა. ამაფეთქებელი ნივთიერების ნიშანიც ვერ იპოვეს.

ლონდონი, 28 თებ. ლორდთა პალატა. სხდომის შესვენების დროს რუსეთის და ინდოეთის საფისკალო უთანხმოების გამო მინისტრის ამხანაგმა ინდოეთის საქმეთა შესახებ განაცხადა, რომ რუსეთისაგან დადებულ ბაჟს ინდოეთისა და ცეილონის ჩაიზე მხოლოდ ოდესაში გატარების დროს აძლევინებენ და ცუდი გავლენა არა ჰქონია, რადგანაც ფაქტიურად ჩაის ვაჭრობამ იმატა. საზოგადოებათა პალატა. იმ შეკითხვაზე, რომ ზომები იქმნას მიღებული ინგლისში რუსეთის შაქრის შემოტანის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების ძალით გერმანიიდან შემოდის, ვაჭრობის მინისტრმა ჯერალდ ბალფურმა უპასუხა, რომ ინგლისში შემოტანილ შაქარზე აღნიშნულია — საიდანაა შემოსული. თუ ბრიუსელის კომისია გერმანიისა და რუსეთის ზომებს ბრიუსელის კონვენციის დარღვევად მიიღებს, მაშინ შესაფერ მოთხოვნილებას განაცხადებს.

პეშავერი, 28 თებ. ინგლისის საელჩო ჯერ ისევ ქაბულშია და არავინ იცის, როდის დაბრუნდება. საელჩოს წევრებს ემირი რამდენისამე დღეს არ უნახავს, რადგანაც უქეიფობდა. საელჩოსთან მსვლელობა მხოლოდ რამდენისამე კაცს შეუძლიან. რუსის ვაჭრებს, რომლებიც ქაბულში ჩასვლის ნებართვას თხოულობდნენ, ემირმა უპასუხა, ეხლანდელი ვითარება მგზავრობას ხელს არ უწყობს და ის გირჩევნიათ საქონელი თურქესტანში გაჰყიდოთო; ამასთანავე ავღანის გუბერნატორს უბძანა გაუყიდავი საქონელი შეიძინოს.

ლონდონი, 28 თებ. საზოგადოებათა პალატა. მინისტრ-პრეზიდენტმა ბალფურმა უპასუხა სვეიმერკინგს, ინგლისის მთავრობამ მიიღო რუსეთისაგან 65,000 გირვანქა სტერლინგი გულის ზარალის ასანაზღაურებლად და ამით სრულიად დააკმაყოფილებს მეთევზეებსაო. წინად ზარალი 103,000 გირვანქა შეაფასეს, მაგრამ შემდეგ 60,000 გირვანქაზე ჩამოიყვანეს. ზედმეტი 5,000 გირვანქა კი იმისთვის მოვითხოვეთ, ვინიცობაა კიდევ აღმოჩნდეს დაზარალებულიო.

პეტერბურგი. უმთავრესი მოგება მე-2 სესხის ამ ბილეთებს შეხვდა: ორასი ათასი მანეთი. 1632—50, სამოცდა თხუთმეტი ათასი—5678—47; ორმოცი ათასი - 6780—45; ოცდა ხუთი ათასი — 4182—44; ათ-ათასი მანეთი—4062—41, 17626—16, 1314—43; რვა-რვა ათასი—5629—29, 11131—4, 18748—22, 17296—42, 5827—8; ხუთ-ხუთი ათასი:—6112—41, 11661—43, 7695—29, 6130—10, 13028—14, 15562—18, 12832—37, 7227—20; თითო ათასი—3283—11, 16141—15, 14342—39, 4275—2, 2100—48, 14399—12, 12304—46, 12069—13, 16801—1, 8759—48, 10416—49,8609—22, 17330 11, 10439—22, 13810—33, 17458—46, 12488—1, 19610—35, 2787—18, 11600—6.

ზლა და ევას ეთანხმებოდა. ღმერთს კი უნდოდა რომ ორივეს შეენანია და ისევ სამოთხეში დარჩენოდნენ... არა: „დატოვებინა. ამისთვის ასე უპასუხა ცოტა ჩაფიქრების შემდეგ:

„— იმისთვის, რომ აღთქმა დაარღვიეთ!..

„— ჩვენ გითხარით, რისთვისაც დავარღვიეთ!..—უპასუხა ევამ იმ კილოთი თითქო ეუბნებოდა ღმერთს: „რაღას უბრუნდები იმას, რაც უკვე იციო.“ ცოტაოდენი მონანიებაც გამოჰკრთოდა მის სიტყვებში.

„— ევა და ადამ, ადამიანნო, არ გენანებათ, რომ ამ წამს სამოთხე უნდა დასტოვოთ?!

„— ჩვენი სამოთხე ჩვენშია!.. წამოიძახა გულწრფელად ევამ... წეღან... წეღან სამოთხის არსებობა აღარც კი გვეგონა, როდესაც ჩვენ სამოთხეში გავინავარდეთ... მხოლოდ შენმა მოსვლამ ისევ შენ სამოთხეს დაგვაბრუნა დაა... აი ვიმალვით... გვრცხვენიან“... და ლეღვის ფოთლები მკერდზედაც მიიფარა, რომ ღვთის დაკვირვებული მხედველობისაგან დაეფარა...

„ადამი გატაცებით უმზერდა ევას, მის სხეულს რომელსაც სირცხვილის ალმული ასდიოდა. ევას ადამისა არა ჰრცხვენოდა. „ახ, ერთი ჩქარა მოგვშორდეს ღმერთი...“ ნატრობდა ადამი... რომ ჩაეკონოს ამ მთრთოლვარე სხეულს და ისევ თავიანთ სამოთხეში გაინავარდონ...

„ღმერთი კი უფრო ღრმად ჩაფიქრდა...

„არა... უეცრივ გაიფიქრა ღმერთმა... მხოლოდ დასჯა მოანანიებს ამათ!... მამობრივი სიყვარული უფრო ათამამებს ამათ...

„—რამეთუ ჰყავ ესე.—მრისხანედ ჰრქვა ღმერთმა გველსა: წყეულ იყავნ შენ ყოველთაგან პირველთა და მხეცთა ქვეყანისაგან; მკერდსა ზედა და მუცელსა ხვიდოდი და მიწასა შჭამდე ყოველთა ცხოვრებისა შენისათა. და მტრობა დავდვა შორის დედაკაცისა, და შორის თესლისა შენისა და შორის თესლისა მისისა; იგი უმზირდეს თავსა შენსა, და შენ უმზირდე ბრჭყალსა მისსა....

„ღმერთი იმედს კიდევ არ ჰკარგავდა, რომ ადამ და ევა მოინანიებენ თავიანთ შეცოდებას და შეევედრებოდნენ... ამისათვის სასტიკად მიჰმართა გველს...

„მაგრამ ადამ და ევა ხმის ამოუღებლივ მოელოდნენ დაბოლოვებას და მის წასვლას, რომ ისევ შეეცურებულიყვნენ თავიანთ სამოთხეში...

„ცოტა სიჩუმის შემდეგ, რაკი ადამ და ევამ არა სთქვეს რა, ღმერთი ევას მიუბრუნდა და...

„გველი კი საშინლად სისინებდა...

—„განამრავლებით განვამრავლე მწუხარებანი შენნი, და სულთქმანი შენნი, მწუხარებით შვენი შვილნი შენნი, და ქმრისა შენისა მიმართ იყოს მიქცევა შენი და იგი გეუფლებოდეს შენ...

—„მწუხარებით თუ ვშვენ შვილნი, უფრო ნეტარნი იქმნებიან ჩემთვის... უეცრივ შეაწყვეტინა სიტყვა ღმერთს.

„ღმერთმა, როგორც წეღან გითხარი, განგებ სასტიკად მიჰმართა გველს, მერე ევას, რომელსაც გველზე არა ნაკლები სასჯელი დაუნიშნა... ორივემ სისინი დაიწყო... სასჯელში სიტკბოებაც ჰპოვეს. ადამი გაჩუმებული იდგა... ღმერთს კი ეგონა ადამი მოინანიებდა... მაგრამ...

„რაკი გველი და ევა მაგრე მხიარულად მიეგებნენ თავიანთ სასჯელს, ადამმაც თავი დაღუნა და თავის სასჯელის მოსმენას ლოდინი დაუწყო...

„ღმერთს შეებრალა ადამი, რომ ისე მოტყუებული რჩებოდა იგი და მწუხარების ხმით ჰრქვა ადამს: რამეთუ ისმინე ხმა ცოლისა შენისა, და შჭამე ხისაგან, რომლისა გამცენ შენ მისი ხოლო არა ჭამა და მისგანჭამე, ოფლითა პირისა შენისათა შჭამდე პურსა შენსა, ვიდრე მიქცევამდე შენდა მიწად, რომლისაგან მოღებულ იქმენ, რამეთუ მიწა ხარ, და მიწადვე მიიქცე...

„,ღმერთს ამ სიტყვებით უნდა ეგრძნობინებინა, რომ იგი მოტყუებული იყო და მის მომტყუებელთათვის მიუსაჯა შრომა.

—„,ღმერთო, ჩემთვის ეგ ნეტარება იქმნება, რადგან ოფლის ლუკმა გემრიელი იქნება...

„—დასტოვეთ სამოთხე!..

„,—უფალო, შენი გვერიდება, თორემ აქნობამდის დავტოვებდით!.. ჩვენ შიშველნი ვართ!.. უპასუხა ევამ...

„,ღმერთმა სამოსელად ტყავი მისცა მაშინვე და ადამ და ევა ხელ-ჩაჰკიდულნი სიხარულით გამოვიდნენ სამოთხიდან. ღმერთმან კი „,დაადგინა ქერობიმი მახვილით დაცვად გზასა ხისა ცხოვრებისასა.“

„,მაგრამ ქერობიმი საჭირო არ იყო, ადამ და ევა სიხარულით გამოვიდნენ სამოთხიდან და უკან დაბრუნება აზრადაც არ მოჰსვლიათ... გავიდნენ თუ არა, მაშინვე სირბილით შორს, შორს წავიდნენ. უკან მოიხედეს და ოდნავად შენიშნეს ქერუბიმი. ისევ იწყეს სირბილი, ვიდრე მთას არ მოეფარნენ. იქ მაშინვე თავიანთ სამოთხე შექმნეს. უფლის სამოთხისკენ მიხედვაც კი ერუანტელს ჰგვრიდა. მხოლოდ პირვანდელი სამოთხის, სადაც სხვის უფლებით უნდა ეცხოვრათ, მოგონება-ღა ჰჩრდილავდა მათ სამოთხეს... მათ ნეტარებას...

„,... მხოლოდ ეხლა ჩვენ, რაკი ადამ და ევას პირვანდელ ცხოვრებას გადავუხვიეთ და შევქმენით რაღაც კანონები და დავიდარაბა, უბედურება გაგვიჩნდა და მივისწრაფით იქით, საიდანაც ადამ და ევა სიხარულით გამოვიდნენ...“

ასე დააბოლოვა დედაბერმა თავისი მოთხრობა...

შ. არაგვისპირელი.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი ალ. სარაჯიშვილი.

განცხადებანი

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს უოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 1 марта 1905 г.
ელექტრონითმბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ფრეილინის ქ. № 5.